ტფილის.

№ 124
ივნისის 15, შაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 124
ივნისის 15, შაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

გაზეთი „ივერია“

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი აწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი.

(6—11)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

საკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰქრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ს. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ა. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: ლისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისადა წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათმდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ბ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი

◆ წელს საოსტატო ინსტიტუტში 23 ყმაწვილმა კაცმა გაათავა კურსი. მათ შორის ექვსი ქართველია: მ. ჰუმბურიძე, ა. ნაცვლიშვილი, მ. მაჩაბლიშვილი, ვ. მამულაშვილი, გ. კუპრაშვილი და გ. გოძიაშვილი.

◆ სამმა სასულიერო სასწავლებელმა: ტფილისისამ, თელავისამ და გორისამ წელს 60 ყმაწვილი კაცი გაგზავნა ტფილისის სასულიერო სემინარიაში ეგზამენის დასაჭერად. მათ შორის მხოლოდ 29 კაცი იქმნა მიღებული. ვაკანსია იყო სულ 55. დანარჩენი 26 ადგილი დაჭერილი იქმნება მათ მიერ, ვინც შემოდგომაზედ დაიჭერს ეგზამენს.

◆ ტფილისის საბაღოსნო სკოლის შეგირდები კვირას, 9 ივნისს, ჰყოლიათ ბეთანიაში ბარონ ნიკოლაის მამულის დასათვალიერებლად. სკოლის ცალკე კომისიას განზრახვა აქვს კიდევ რამდენიმე ამისთანა ექსკურსია მოაწყოს თავის შეგირდებისათვის.

◆ ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში ხუთი ვაკანსია იყო სახელმწიფო ხარჯზედ მისაღებ ყმაწვილ ქალთათვის. წილის ყრით ერთი სტიპენდია ამ ხუთში ერგო ქართველს ქალს, ვერა მარგველაშვილს.

◆ პროფ. პეტრიაშვილი თავისის სტუდენტებით გაემართა კახეთისაკენ. სამს დღეს უკან ისევ ტფილისში დაბრუნდება და შემდეგ ბაქოს წავა.

◆ ტფილისის 1 მომრიგებელ სასამართლოს მსაჯულად დაუნიშნავთ ეკატერინოდარის მსაჯული ტელეჟინსკი. ამ სასამართლოს მსაჯულის თანაშემწე ლაროკევიჩი გადაუყვანიათ ზაქათალაში.

◆ ამ დღეებში ჩამოსულან ტფილისში ჩერნიგოვისა და სმოლენსკის სასულიერო სემინარიის შეგირდები საქართველოში ძველ ეკკლესიებისა და მონასტრების დასათვალიერებლად.

ადგილობრივის
ცხოვრების ამბები

რაჭა. ჩვენში ჯერ-ჯერობით ყოველ ჭირნახულს კარგი პირი უჩანს. იმედი გვაქვს წელს მაინც გამოვიძლებთ კუჭს რაჭველები, თუ ილია ღრუბელთ წინამძღვარმა არ გაგვიმეტა და სეტყვა არ დაგვაყარა თავზე.

წარსულ წელს მრავალი სოფელი დაისეტყვა. სეტყვამ მთლად დედამიწასთან გაასწორა ყოველი ჭირნახული. შარშანდელი სეტყვისაგან წამხდარი ვაზი ერთიანად მოისპო და მის ნაცვლად ახალი ვაზის გაშენებას შეუდგნენ. დასეტყვილ სოფლებში მცხოვრებთ დღის საზრდო არ მოუწევიათ, მთელი წლის გამოსაკვები საზრდო სასყიდელი შეექნათ. საზრდოს სყიდვას კიდევ არავინ არ ჩააგდებს, რომ ძვირი არ იყოს: ეხლა რაჭაში ფუთი სიმინდი 1 მ. ფასობს ბ ვგონებ მალე 1 მ. 20 კ—ზე მეტიც გახდეს. ღვინო საშუალო ღირსებისა 5 მ. ფასობს, ყიფიანების შავი ღვინო-კი 7—8 მ. იყიდება.

ამ ათი წლის განმავლობაში ჯერ ასე ძვირი არ ყოფილა აქეთ ჭირნახული. წინა წლებში თუ ჭირნახული გაძვირდებოდა, სამაგიეროდ იმერეთი და ოსეთი ხელს გვიწყობდა სიმინდით. ორივე მხრიდგან უხვად ეზიდებოდნენ სიმინდს და რიგიან ფასებშიც იყიდებოდა. წელს-კი, ჩვენდა საუბედუროდ, იმერეთში ნაკლები მოსავალი იყო სიმინდის. როგორც გვესმის იქ 1 მ. ყოფილა ფუთი სიმინდის ფასი და აქ როგორღა უნდა გაიყიდოს. ოსეთის გზები სულ წამხდარა და იქიდგან აღარ ველით სიმინდის გადმოტანას. სიმინდის ხარჯს პირველი ადგილი უჭირავს გლეხის ცხოვრებაში და მისი გაძვირება დიდად საზარალოა ხალხისათვის.

რადგან გზებზე ლაპარაკი ჩამოვარდა, ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვა ვსთქვა რაჭის აგარაკ უწერის გზების შესახებ. უწერის გზები წასულ წელს ისე დაზიანდა ხანგრძლივის წვიმებისა და წყალდიდობისაგან, რომ ყოვლად შეუძლებელია იქითკენ მგზავრობა ეტლით. ცხენით გაჭირ ვებით გაივლის ვიწრო ბილიკებს კაცი, თუ ძალიან მაგარი თვალი აქვს და არ ეშინიან კლდეზე გადავარდნისა. საავგარაკოდ ყოველ წელს უწერას საქართველოს ყოველ კუთხიდგან ბლომად მოდის ხალხი. უწერას შესანიშნავი სამკურნალო მჟავე წყლებია და აბანოები. წელს-კი, თუ ვინმე გაიგებს ამ ჯოჯოხეთურ გზების ამბებს, არავინ გიახლებათ აქეთკენ, თუ არ შეაკეთეს. უწერის გზები უწინაც ხშირად წამხდარა ხოლმე, მაგრამ, როგორც ეხლა არის თავ-მინებებული, ასე არასოდეს არ ყოფილა, ყოველთვის გაუკეთებიათ.

რაჭველთა მყუდრო ცხოვრება წელს ავაზაკთა თარეშმა შეაფრთხო. დღეს ყველას ავაზაკების სახელი აკერია პირზედ. გაიძახიან, იქ კაცი გაძარცვეს, აქ კაცი მოჰკლესო და სხ. ხმა დაადგეს, ავაზაკთა ბრბო იმერელ ავაზაკის ბუზალაძის მეთაურობით ვითომც ონს აქეთ ტყეში იმალებოდეს და რამდენიმე მგზავრიც გაეძარცოთ. ონამდე გზატკეცილით წასვლა საშიში შეიქნა. ამას წინათ ერთი თავადიშვილი ონში ცოლიანათ მიდიოდა. როგორც ეს ამბავი გაიგო, — იცოცხლეთ, — ცოლიანათ სახლისაკენ მოჰკურცხლა. უბედურობა არის, ღმერთმანი, ონამდე კაცი უშიშრად ველარ წავიდეს! ეს ხმები, ყაჩაღებზედ დაყრილი, სიმართლეს მოკლებული უნდა იყვეს, და ონს ახლო რომ ერთი მღვდლისათვის ცხრა მანეთი წაერთმიათ და მოსწავლეებისათვის — პური, ეს-კი სრული სიმართლეა. როგორცა სთქვეს, ამას წინად ორ ქალს სადილი მიჰქონდა თურმე ქმრებისათვის ყანაში. დაჰხვედროდნენ ავაზაკები, სადილი შეეჭამათ და ქალებისათვისკი ნამუსი აეხადათ.

წასულ მაისის 25-ს, მოვიდა ონში ქუთაისის ოლქის სისხლის სასამართლოს სესია. 27, 29, 30 მაისს გაარჩიეს რამდენიმე საყურადღებო საქმე ნანია ჰეჰინაძისა, ანთიმოზ ელბაქიძისა და გრიგოლ გძელიშვილისა. პირველს ბრალად ედებოდა გლ. ტატო გოგობერიშვილის სასიკვდილოდ დაჭრა, მეორეს პოდლოგის გაკეთება, ხოლო მესამეს მევახშეობა. პირველისა და არც მეორისა იმდენად საყურადღებო საქმე არ იყო, როგორც გძელიძისა. იმის მომჩივანი ჩვიდმეტი კაცი იყო და მოწმეც მრავალი იყო მოწვეული. პირველს გადაუწყვიტეს პირადის ღირსების ახდა და რვა თვით დაპატიმრება, მეორე უდანაშაულოდ სცნეს და გაამართლეს. ხოლო უკანასკნელს ყოველი ღირსების ახდა და ერთის წლით დაპატიმრება მიუსაჯეს.

ვანო ჰეჰინაძე.

—

დ. ძველი-სენაკი. ჩვენს დაბეჩავებულს დაბასაც მოევლინება ხოლმე ათასში ერთხელ ისეთი რამ, რაც ოდნავ მაინც გამოაფხიზლებს ხოლმე მცირე ხნით. ამისთანა ამბავი იყო აქაურს სააზნაურო სკოლაში კვირას, 9 ივნისს, გამართული ლიტერატურული დილა. პროგრამა „დილისა“ საკმაოდ კარგად იყო შემდგარი, კითხულობდნენ ჩვენის სახელოვან მხცოვან და ახალ მწერალთა ლექსებს, შიგა და შიგ რუსული ლექსებიც იყო გარეული. დილა სულ ხუთ განყოფილებად იყო და ყოველ განყოფილების ბოლოს მღეროდა ამავე სკოლის მოწაფეთა პატარა გუნდი. მონაწილეობას იღებდნენ ყველა განყოფილების შეგირდები და განცვიფრებაში მოჰყავდათ მაყურებლები სასიამოვნო წაკითხვით. კითხულობდნენ მკაფიოდ, გარკვევით, შესაფერის კილოთი, საამო ინტონაციით. ალტაცებაში მოდიოდა კაცი, გული ნუგეშით და იმედებით ევსებოდა, როდესაც ჰხედავდა ექვსიშვიდი წლის ბაღლს, თამამად მდგომს საზოგადოების წინაშე და საამურად მოჰიკჰიკეს. დიაღ, სასიამოვნო სანახავია ასეთი ლიტერატურული დილა და მერე ისიც ისეთს სკოლაში, რომელმაც მცირე მღელვარება არ გამოიარა თავის ცხოვრებაში. დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ, კვლავ ვხედავთ ამ სკოლას წელში გამართულს. სამწუხაროა მხოლოდ, რომ საზოგადოება ნაკლებად დაესწრო ამ დილას. მაგრამ ეს ხომ ჩვენებური საზოგადო სენია. ვსწუხდით უფრო, რომ თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ფ. მ—ძე, რომელსაც პირდაპირ შეეხება ეს საქმე და რომელსაც მეტად უნდა აინტერესებდეს ამ სკოლის ბედ-იღბალი, არ დაესწრო ამ „დილას“, სადაც სკოლამ თავის ნაღვაწის ნაყოფი უჩვენა დამსწრეთ და მით ანგარიში მისცა საზოგადოებას.

დამსწრე საზოგადოება განცვიფრებაში მოიყვანა ბავშვების სიყოჩაღემ. უსაზღვრო მადლობის ღირსნი არიან სკოლის ხელმძღვანელნი. ვუსურვებთ გამარჯვებას შემდეგშიაც. გულს ნუ გაიტეხენ, თუ დღეს მცირედ დაესწრო საზოგადოება იმათს დღესასწაულს. დეე, გულ გრილად უცქირონ მათს შრომას იმათ, ვის სასარგებლოდაც არის მიმართული იგი შრომა. ეგ არ შეაკრთობს ნამდვილს მოძღვარს და მასწავლებელს და დაუღალავად იშრომებს მათთვის, ვის გულშიაც ღრმად დაისადგურებს თავის კეთილ აღმზრდელთადმი წმიდა, უმანკო სიყვარული.

ღირსია ყურადღებისა გალობის მასწავლებლის ნაყოფიერი შრომა. ეს სამი თვეა, რაც აქ გაამწესეს და უკვე ისე მოუმზადებია ბავშვები, რომ გალობენ ადგილობრივ ეკკლესიაში და დღესაც თავიანთ სიმღერით მეტად ნასიამოვნები გამოგვისტუმრეს.

სამშაბათს, 11-ს ამ თვეს, ჩვენს დაბაში მოელიან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

დამსწრე.

—

დ. აბაშა (სენაკის მაზრა). 1901 წლის დამდეგს დიდის აურ-ზაურის შემდეგ აქ დააარსეს სამკითხველო. ამ საქველმოქმედო საქმის განხორციელებაში შრომა და ენერგია მიუძღვის აქაურ სამრ. სკოლის მასწ. ბ-ნ მ. კორზახიას და აზნ. ჯ. ჩიქოვანს. სამკითხველოში გამოწერილი იყო ქართული გაზეთები, გარდა ამისა ადგილობრივი რუსული გაზეთები და „Нива“. სამკითხველოსთან მოთავსებული იყო „პაწია“ ბიბლიოთეკაც, რომელშიაც ორასამდე დიდი თუ პატარა წიგნი ითვლებოდა. ხალხი სიამოვნებით მიეგება ამ გონების განმავითარებელ წყაროს. ჩვენ ხშირად დავდიოდით ამ სამკითხველოში და ყოველთვის ოთახი სავსე გვინახავს მკითხველებით. მათ შორის იყვნენ აქაურ რკინის გზის მოსამსახურენი, მასწავლებლები, მოვაჭრენი და ხშირად უბრალო მეოჯახენიც. ბიბლიოთეკიდანაც ხშირად გამოჰქონდათ წიგნები. კაცს ეგონებოდა, სამკითხველო მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული და აწ უფრო ნაყოფს მოიტანსო, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. გათავდა 1901 წ. და ჩვენი სამკითხველოც გამოესალმა წუთი-სოფელს. რა იყო მიზეზი? მიზეზი იყო აი რა: სამკითხველოს დასაარსებლად ფული შეაგროვეს კერძო შემოწირულებით. ამ ფულს მიემატა შემოსავალი წარმოდგენებისა, რომლებიც გამართა მოსწავლე ახალგაზდობამ სამკითხველოს სასარგებლოდ. ეს ფული საკმარისი იყო 1901 წელში ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად. შემდეგ ხელმეორედ უნდა შეკრებილიყო ფული. მოსალოდნელი იყო, რომ ისევ მოთავენი იკისრებდნენ ფულის შეგროვებას აქაურ ვაჭართა შორის, რომელნიც ამისთანა საქმეში არ დაიზარებდნენ ფულის გამოღებას. მოთავეებმა აღარა იზრუნეს-რა და სამკითხველოს ბედი უკუღმა დატრიალდა.

ახალგაზდა.

—

სოფელი ჟუმისთავი (ქუთ. მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით ქუთაისიდგან,15 ვერსის მანძილზე,მდებარეობა მთა-გორიანი და ლამაზი აქვს. აქედან თავისუფლად შეგიძლიანთ გადაჰხედოთ მთელ რიონის ჭალას შავ ზღვამდე და თითქმის ყველა ახლო-მახლო სოფელს. მდებარეობით და ჰაერით ჟუმისთავი ბევრად განირჩევა იმერეთის ზოგიერთ ვაკე სოფლებიდან. მაღალ მდებარეობის გამო აქ მუდამ სუფთა, წმინდა ჰაერია, რის გამოც ძვირად შეჰხვდებით აქ ციებ-ცხელებას, რომელიც ხშირი სტუმარია ზოგიერთ ვაკე სოფლისა. სააგრაკოდ სწორედ მისწრება იქმნებოდა, რომ გზა იყოს გაყვანილი.

სოფლის მკვიდრნი არიან აზნაურები და გლეხები. აზნაურები რიცხვით 23 კომლია, გვარად მიქაბერიძენი, დანარჩენი გლეხობაა, რიცხვით 100 კომლი. აზნაურთა და გლეხთა შორის სასურველი ერთმანეთობა სუფევს, აზნაური, რამდენადაც შემინიშნავს, სასურველი სტუმარია აქაურ გლეხისათვის: გლეხსაც პატივითა და სიყვარულით ეპყრობა აზნაური. არავითარი შური და მტრობა არ შემიმჩნევია მათ შორის, პირ-იქით, აზნაურნი დიდს დახმარებას უწევენ გლეხობას ყოველ კეთილ საქმეში. მაგალითებრ, მათის თაოსნობით დაარსდა აქ წელს ერთ-კლასიანი სკოლა, რომელსაც აქაურ აზნაურთა ინტელიგენცია შემდეგში ორ-კლასიანად გადაკეთებას ჰპირდება.

მცხოვრებნი უმეტეს ნაწილად მიწას ამუშავებენ და განსაკუთრებით ვენახს, რომელმაც კარგი მოსავალი იცოდა უკანასკნელ წლებამდე; ეხლახან-კი ღვინის მოსავალმა ძლიერ იკლო, ასე რომ ის ვენახი, რომელიც წინად ორმოც საპალნე წმინდა ღვინოს იძლეოდა, ახლა ძლივს იძლევა ათ საპალნეს და იმასაც მდარეს. თუ წინად საშუალო მამულის პატრონი გაჰყიდდა 400 მანეთის ღვინოს, ახლა, კარგი უნდა, სამყოფი ჩაასხას ჭურში.—ღვინის მოსავლის დაკლებას ხალხმა მიაქცია ყურადღება და ზოგიერთებმა ნიმუშად მოიტანეს ამერიკის ვაზი. ღვინის კარგმა მოსავალმა, რასაც ხელს უწყობდა მაღალი და მოხერხებული ადგილები, სოფელი შეასუქა და ნივთიერად დააწინაურა, რის გამო ხშირად შეხვდებით აქ მშვენიერ, მაღლა დადგმულ და ევროპიულად მორთულ-მოწყობილ სახლებს.

გარდა ამისა, ამ სოფლის სიმდიდრეა დიდი მთა „გორ-მაღალი“, რომელიც ძევს ჩრდილოეთით ჟუმისთავიდამ. ეს მთა სიგრძით 15 ვერსია, სიგანით—20. დაფარულია მაღალის ტყითა (მუხა და წაბლი); მთაში არის აგრეთვე ბევრი კარგი სახნავ-სათესი მიწები და მდიდარი საბალახოები, სადაც ათასობით მიერეკებიან ყოველ წლივ შინაურ საქონელს. ამასთანავე მამული ეკუთვნის ამავე სოფელს „თსუნელა“, სადაც ამ მოკლე ხანში აღმოაჩინეს ბარიტის მადანი, რომლის გამოსაკვლევადაც მოწვეულნი იყვნენ მცოდნე კაცები; ბარიტი კარგის თვისებისა აღმოჩნდა.

აქეთ ყანები ყველა დათესილია და ჯერ-ჯერობით კარგ მოსავალსაც გვპირდება; აბრეშუმსაც კარგი პირი უჩანს.

მასწავლებელი გერასიმე ხაჟომია.

—

ს. მათხოჯი (ქუთ. მაზრა). მდინარე ცხენისწყალს დიდ სარგებლობასთან მათხოჯისათვის ზარალიც დიდი მოაქვს. უმთავრესი სარგებლობა ცხენის წყლიდგან შეშის ჩამოტანაა. ყოველ გაზაფხულობით, ადიდების დროს, იმდენი შეშა ჩამოაქვს, რომ ბევრ მოსახლეს უზრუნველ-ჰყოფს ხოლმე საზამთროდ შეშითა. მაგრამ ამავე წყალ-დიდობის დროს ბევრი ზარალიც მოაქვს სახერხავ ხეებს. მდინარეს, ბუმბუას ხიდს (ცხენის წყალზეა) გამოსცდება თუ არა, ერთი განმარტოებული კალაპოტი არა აქვს: დღეს, რომ ერთ კალაპოტშია, ხვალ და ზეგ სულ სხვაგან მიდის. ჩქარ-ჩქარა კალაპოტის ცვლა, რასაკვირველია, დიდად მავნებელია მდინარის პირად მდებარე ყანებისათვის: მოსთხრის და ყველას წაიღებს. ყოველ წლობით არ შეიძლება, რომ რამდენიმე ქცევა ყანა არ იმსხვერპლოს ცხენის წყალმა. ეს რაც არის—არის, ძნელია წყლის ადიდებას შეებრძოლოს კაცი, მაგრამ სახერხავი ხეები,რომელთა რიცხვი აუარებელია, ხომ ბუნებით არ არის მოვლენილი—კაცის ხელითაა. ამ ხეების წყალობით, რომ მდინარე წამ-და-უწუმ იცვლის კალაპოტს და მით ნახნავ-ნათესს ჰღუპავს, გაირიყება თუ არა რამდენიმე ხე ერთად, მაშინვე მიასილავს და წყალი იძულებულია სხვა კალაპოტი ეძიოს. მოხდება ისე, რომ ხეები წყალს ყანის ახლო გაგუბავენ და ეს გარემოება სულ ჰღუპავს მიწით ისედაც ღარიბს გლეხს. რადგან ნიადაგი უმთავრესად სილაა, წყლისათვის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ ზედაპირი გადარეცხოს და ქვები გამოაჩინოს. წყლის გადავლის შემდეგ მიწა თითქმის სამუდამოდ ფუჭდება. ამ ხეების უმთავრესი ნაწილი ეკუთვნის ბ-ნს სერებრიაკოვს, რომელმაც ხეები უნდა ჩაიტანოს წყლით საჭილაოში და აახორავოს რამდენისამე სოფლის მდინარის პირად მდებარე ადგილებში. თუმცა ტივითაც მიაქვს ხეები, მარა მცირედ. ასეთი ზარალი არა თუ წელს, არამედ დიდი ხანია მოაქვს ხსენებულ მრეწველის საქონელს და, ვგონებ, საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. სოფლელები თუმცა ბევრს ლაპარაკობენ და იწყევლებიან, მაგრამ არაფერი გამოდის... რომ ამდენი ზარალი არ მოუტანოს ბ-ნმა სერებრიაკოვმა სოფლებს, ჩემის ფიქრით, საჭიროა ბუმბუას ხიდის ახლო ხეებს ფაცერი გაუკეთდეს დასაჭერად და მერმე-კი ტივით ჰზიდოს. თუ აგრე არ მოიქცა, იმ ზომამდის მივა საქმე, რომ მდინარე მოსახლეებსაც აჰყრის (ეხლაც დიდი არაფერი აკლია მათხოჯში რამდენისამე მოსახლის აყრას და სხვა სოფლებში-კი უარესია). მე მგონია ეს გარემოება უყურადღებოდ დასატოვებელი არაა; ერთი კაცი თავ-უკუღმა მდიდრდებოდეს და რამდენიმე ათასი მისგან იღუპებოდეს, ვერაფერი ჭკვაში მოსასვლელია.

10 ივნისს აქ ბრძანდებოდა ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სმაგინი.

ვ. მალაქიაშვილი.

კავკასია

სომხთა სემინარიის რექტორად დაუნიშნავთ არხიმანდრიტი ტირაირი.

— რუსულ გაზეთების სიტყვით, მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგი სტევენი მალე ეწვევა კავკასიას სხვა-და-სხვა საქმეთა გამო.

რუსეთი

მოსკოვში არსდება პირველი კბილის სატეხნიკო ინსტიტუტი. იქ კურს-დამთავრებული მიიღებს მეცნიერ ტეხნიკ-დანტისტის წოდებას.

— ლ. ტოლსტოი ისე კარგად თურმე ჰგრძნობს ამ ჟამად თავს, რომ ავტო-ბიოგრაფიის წერას შესდგომია.

— 12 ივნისს, როგორც სწერენ გაზ. „კავკ.-ს დეპეშით, წარდგენია მისს უდიდებულესობას მისი ბრწყინვალება მთავარ-მართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი თავადი გოლიცინი.

უცხოეთი

საფრანგეთი. თიბათვის 17 საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დიდი ალიაქოთი ასტყდა. უნდა შეემოწმებიათ დეპუტატების ვექილობანი. რესპუბლიკელი მემარცხენენი გადაჭრით თხოულობდნენ, რომ ვექილობანი იმ ნაციონალისტთა, რომელნიც არჩეულ იქმნენ კლერიკალების ჯიბისა და არისტოკრატ-ქალების ინტრიგების წყალობით, არ მიეღოთ; პარიჟში მათ მოახერხეს ბრისსონისა და მეზიურერის დამარცხება. „საფრანგეთის სამშობლოს ლიგამ“ გააკრა ყველგან განცხადებები, რომელშიაც ვალდეკ-რუსოს სამინისტროს ბრალსა სდებს, ქ-ნ ემბერის ბოროტ-მოქმედებას ხელს აფარებდაო და ნაქურდალი ფულით პატრიოტთა კანდიდატებს ებრძოდაო. სწორედ ამ ოინით მოახერხეს მეზიურერის მაგივრად სივტონის არჩევა, რომელსაც პალატაში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

ინგლისი. გენერალს შტეინს ჯერაც არ მოუწერია ხელი ინგლის-ბურების საზავო პირობაზე; მიზეზად იმის ავადმყოფობას ასახელებენ. ამის შესახებ „Daily News“-ი ამბობს: «სწორედ ბავშვური დაჯერება იქმნებოდა, ვითომც უდიდესი რესპუბლიკანელი—შტეინი—ავადმყოფობის მიზეზით არ აწერდეს ხელს პირობაზე. ხომ ვერ დააბრკოლა ავადმყოფობამ ეს მოქალაქე-სარდალი, როდესაც კრიუგერსდორპიდგან ელანსფონტენს გაემგზავრა პრეტორიაში წამსვლელ ბურგერების სანახავად! ხელშეკრულობას მხოლოდ მისათვის არ მოაწერა ხელი, რომ მისი პირობები არ მოსწონდა. ამ „არ მოწონებას“-კი ინგლისის მთავრობა ადრე თუ გვიან ანგარიშს გაუწევს, რადგან ყველაზედ უფრო კანონიერი წარმომადგენელი ორანჟეს რესპუბლიკისა შტეინია. რაც შეეხება იმ ხელშეკრულების სიგელს, რომელსაც ინგლისის მთავრობა სთავაზობს პრეზიდენტ კრიუგერს, თუ სამშობლოში დაბრუნებას მოისურვებს იგი, ეჭვს გარეშეა, რომ კრიუგერი არასოდეს არ ისურვებს ასეთის სიგელის მიღებას, რადგან ამისათვის მან ერთგულებაზედ უნდა შეჰფიცოს ინგლისს—ეს-კი ყოვლად წარმოუდგენელიაო.

მარტინიკი. „Figaro“-ს ატყობინებენ, რომ ახალშენთა სამინისტროს ფორტ-დე-ფრანსიდგან დეპეშა მიუღია, 15 თიბათვეს ღამით საშინელი კოკის-პირული წვიმა მოვიდა და მდინარენი მეტად ადიდდნენო. ვულკანი შეუსვენლ კვამლს აფრქვევს და ჰფენს სენ-პიერსა, მაგრამ ჯერ-ჯერობით უბედურება არა მომხდარა-რაო.

ესპანია. 11 თიბათვეს (ახ. სტ.). კატალონიამ და მასთან ერთად მთელმა ესპანიამ დაჰკარგა ერთი უნიჭიერესი მგოსანთაგანი, რომელიც ოდესმე ჰყოლია პირენეის ნახევარ-კუნძულს—ხასინტო ვერდაგერი. იგი სწერდა კატალონიურ ენაზე; ჰანგი მისის პოეზიისა რელიგიურ-მისტიური იყო და სწორედ ამ მიზეზისა გამო მისნი თხზულებანი ესპანიის გარედ ვერ გავრცელდა. წოდებით მღვდელი იყო და სიკვდილამდე მადვე დარჩა.

ვერდაგერი დაიბადა 1845 წ. ღარიბ ოჯახში, რომელიც სოფელ ფორგაროლისში სცხოვრობდა. ჯერ კიდევ სემინარიაში მოწაფე იყო, რომ 1865 წ. ბარცელონის ფიურალურ თამაშობაზედ პირველი ჯილდო მიიღო. სასულიერო მთავრობა ცუდის თვალით უცქეროდა ვერდაგერს მწერლობაში მონაწილეობისათვის და დაწინაურების მაგივრად, მივარდნილ მიყრუებულ ადგილებში ამწესებდა მღვდლად, რომ მატერიალური შევიწროებით მაინც დაეჩაგრა იგი.

მრავალი მისი თხზულებათაგანი ადგილობრივ ენებზე მე-16 – 17 გამოცემად გამოვიდა, ბევრი მათგანი ფრანგულს, იტალიურს, ჩეხურსა და სხვა ენებზედ არიან გადათარგმნილი. რესპუბლიკანური გაზეთი „El Paris“ მას უწოდებს „უდიდეს მწერალს,ბავშვების სულს, უმანკო გულს და არა ჩვეულებრივ მღვდელს“.

საფრანგეთი. გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის ნაციონალურ ლიგის წევრთა შორის დიდი უთანხმოება სუფევს, რომელიც საბოლოოდ დარღვევას უქადის მასაო. ამ ხმების წინააღმდეგ «Echo de Paris«-ში ლიგის თავმჯდომარემ—ჟიულ ლემეტრმა—განაცხადა, რომ ლიგამ უკანასკნელის სამი წლის გამოცდილება კარგად გამოიყენაო: მან საუცხოვოდ ისარგებლა ჩადენილ შეცდომების გაკვეთილით და ეხლა გამუდმებულად მუშაობს თავის ორგანიზაციის განახლებისათვისაო.

ამერიკის შეერთებული შტატები. Daily Telegraph“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ დამოკიდებულება პრეზიდენტ რუზველტისა რესპუბლიკის დასსა და მინისტრებთან უკანასკნელ ხანებში მეტად გამწვავდაო. უმთავრესი მიზეზი ის გახდავთ, რომ პრეზიდენტი ცუდის თვალით უყურებს „ტრესტებს“ (ამხანაგობებს), რომელთაც პირ-იქით მხარს უჭერენ რესპუბლიკანელნი, რადგან არჩევნების დროს მრეწველთა სინდიკატები დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს მათ; ეხლა-კი საარჩევნო კამპანია მოახლოვებულია და რესპუბლიკანელთა დასი ჰფიქრობს, რომ რუზველტი ცუდ სამსახურს უწევს მათ ტრესტების წინააღმდეგ გალაშქრებით. მეორე მიზეზი უსიამოვნებისა კუბის საკითხია. როცა შეერთებულმა შტატებმა კუბას დამოუკიდებლობა მიანიჭეს ამერიკაში, ჰგონებდნენ, რომ ახალ რესპუბლიკას ზოგს სადამოჟნო შეღავათსაც მისცემდნენ, რადგან უამისოდ კუბას მეტად გაუჭირდება თავის ეკონომიურ და ფინანსიურ საქმეების გამოკეთებაო. ასეთი იყო რუზველტის აზრიც. მაგრამ შაქრისა და თამბაქოს შეძლებული მექარხნეები დიდს წინააღმდეგობას აცხადებენ, რომ კუბას რაიმე სადამოჟნო შეღავათი მიეცეს. რადგან ამ უკანასკნელთ რესპუბლიკანელთა დასზედ დიდი გავლენა აქვსთ, ამისათვის რესპუბლიკანელებმა მათი მხარე დაიჭირეს და პრეზიდენტს განუცხადეს, სადამოჟნო შეღავათის პროექტი უეჭველად დიდ განხეთქილებას გამოიწვევს ჩვენს დასშიო. მინისტრთა და სენატის წევრთა უმეტესობაც პრეზიდენტის წინააღმდეგია. თუ საქმე ასე გაგრძელდა, რუზველტს იმედი აღარ უნდა ექნეს 1904 წელში პრეზიდენტად არჩევისა. ჯერ-ჯერობით-კი თავის აზრს ბეჯითად ადგია.

ინგლისი. თუმცა მინისტრები თამამად და გადაჭრით აცხადებენ, ვითომც ბურებთან ზავის ჩამოგდებაში არავითარი საიდუმლო პირობა არ ყოფილიყოს, მაგრამ საფრანგეთის სამხედრო ჟურნალის „La France Millitaire“-ის სიტყვით, ორი საიდუმლო პირობა მაინც არის. პირველის პირობის ძალით კაპლანდიის ყველა მეამბოხეებს უნდა მიენიჭოს სრული პატიება (ამნისტია), რომელიც უნდა გამოცხადდეს მეფის გვირგვინის კურთხევის დღეს. მეორე პირობა ფულის შემწეობას შეეხება. ზემოხსენებულს ჟურნალს დანამდვილებით შეუტყვია, რომ ინგლისის რწმუნებულნი ზავის შეკვრის დროს დაჰპირებიან თურმე ბურებს ერთს მილიარდსა და შვიდასს მილიონს მანეთს,—და ეს ვეება ხარჯი ინგლისის მინისტრებს ვერ გაუბედნიათ ჯერ-ჯერობით გამოუცხადონ ხალხს.

სხვა-და-სხვა წერილები

ისევ ქალების აღზრდის გამო

(პასუხად ნინია გარეჯელს)

კმაყოფილი დავრჩი, რომ ჩემმა სიტყვამ, ქართველ ქალების შესახებ წარმოთქმულმა, საბაასოდ გამოიწვია ბატონი ნინა გარეჯელი. დიდის ყურადღებით შევუდექი მისი წერილის კითხვას და ჯერ შუამდინაც არ ვყოფილვარ ჩასული, რომ მოწონების ნიშნად წამოვიძახე: „ჰეი-ჰეი, ფიქირ ბეი!“ მეთქი, რადგანაც მის ნაწერს ეტყობოდა გრძნობის აზნაურობაცა და ჭკუის თავადობაც (ბეგობა). მაგრამ მეორე ნახევარში რომ გადავედი, დავღონდი და, გულ-დაწყვეტილმა, ჩემი სიტყვები გადავთქვი. და მართლაც, პირველი ნახევარი ისე არ მიუდგებოდა მეორეს, როგორც დღე ღამეს.—ზოგიერთი ენა-ქახრაკა ბრალ-მდებელი (პროკურორი) თავდაპირველად ისე მოეპყრობა ხოლმე ბრალდებულს (დამნაშავეს), როგორც კატა თაგვს: ეალერსება, ეთამაშება, სცდილობს მაღლა-მაღლა აისროლოს, რომ მერე უცბად გამოუსხლიტოს ფეხ-ქვეშ მისგანვე გამოხარატებული საფეხური და მით უფრო ძლიერად დაანარცხოს ძირს... სწორედ ასე იქცევა ბატონი გარეჯელიც: ჯერ ქება-დიდებით იხსენიებს საზოგადოდ მგოსნებს და მათ რიცხვში მეც, სიფრთხილით მიხვევს თავს, რომლის გატეხასაც ჰფიქრობს და იმ გულს მითაფლავს, რომელზედაც ნაღველ-ძმარი უნდა დამასხას. და ბოლოს-კი, ქალაჩუნობისა და ქათინაურების შემდეგ, უცბად გადატრიალდება ტობივით და მიკიჟინებს: „მაგისი აზრი ქართველ ქალების შესახებ გაზვიადებული ოცნებაა, სასაცილო შეცდომა და სავნებელი რჩევაო! ჩვენი ძველი დედები მაინც და მაინც არაოდეს არ ყოფილან საქებიო, მხო-

ფელეტონი

შიოლა ღუდუშაური

თამარ მეფის მიერ სიონის ღვთის მშობლის სახელობაზედ აშენებულს ეკკლესიაში ინახება ძველის ხელოვნებით შეჭედილი შესანიშნავი „ხატი“. ამ ხატს, მართალია, დიდი ისტორიული წარსული აქვს, მაგრამ ამას არ გამოვეკიდებით და მხოლოდ მისს წარწერასა და ხელოვნურს სურათებს გაგაცნობთ.

ხატი არის ჯვარად ნაკეთები, ხისა და გარედამ მთლად გადაკრულია ერთის დიუიმის სისქე პიტალო ვერცხლით. ჯვარს სიგრძე არშინ-ნახევარი აქვს და მხრების სიგანე არშინი და ორი გოჯი (18 ვერშოკი), სისქე-კი ორი გოჯი.

ჯვარს თავში წმიდანი აქვს გამოხატული წარწერით: „მღუთაება“. მღუთაების ბოლოს მეორე სურათი არის, არწივის სახედ გამოხატული წარწერით: „ივანე“; ჯვარის შუაგულზედ არის დახატული ჯვარცმული მაცხოვარი ქართულისავე წარწერით: „მაცხოვარი“. მაცხოვრის მარჯვენა მხარეს დახატულია ანგელოზათ მოციქული წარწერით: „მათე“. მარცხენა მხარეს არის გამოხატული ირმის (?) სახედ წარწერით: „მარკოზ“. ქვემოთ, მაცხოვრის ქვეშ არის დახატული ქართულის წარწერით ლომის მზგავსად: „ლუკა“. ისევ ჯვრის მარჯვენა ნაპირზედ დახატულია წმიდის გიორგის სურათი, რომლის ცხენის ფერხთ ქვეშ ძლეული ვეშაპი ღევს. ხოლო ჯვრის მარცხენა ნაპირზედ ცხენით წმიდა დიმიტრი არის გამოხატული და მის ცხენის ფერხთ ქვეშაც ვილაც გოლიათი არის ძლეული.

ჯვარის ქვემო ნაწილზედ ანუ ტანზედ შემდეგი წარწერა არის მხედრულის ხელით:

ქ. ეპა დიდება, მადლობა და თაყვანის-ცემა ყოვლად პატიოსანს და ღუთივ შვენიერსა სახელსა შენსა, ერთ არსებასა, ერთ ღვთაებასა, სამებით დიდებულსა და ერთ არსებითა ქებულო სახიერ და კაცთ-მოყვარეო, ღმერთო ჩვენო, რომელმან მოგვმადლე თაყვანის-მცემელად ცხოველი ხატი შენი და დღით-დღედ და ღამით-ღამად აღვსთქვამთ და თაყვანისცემით უხრწნელსა ხატსა შენსა ვსთხოვთ მოტევებასა ცოდვათა. ჩვენ მინდობილმან დასაფარველთა თქვენთა შევედრებულმან მონამან და მსასოებელმან არაგვის ერისთავმან ბაანდურ და თანამეცხედრემან ჩვენმან ფანსკატელისა, ციციშვილის ქაიხოსროს ასულმან თამარ მოვაჭედინეთ ხატი ესე ღუთაებისა, შევამკევით, ვითაარცა შვენოდა და შევწირეთ ხევს, ჩვენს სამკვიდროსა საყდარსა სიონისასა სულისა ჩვენისა საოხად, ცხოვრებასა შინა ჩვენსა სადღეგრძელოთა და ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად, შეიწირე შენ, იესო ქრისტეო, ღმერთო ჩვენო, ვითარცა მწუღილი იგი ქვრივისა და გვასმინე ხმა იგი ღუთივ შვენიერი მოსვლასა მას შენსა დიდებითა, ვითაარმედ მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი პირველი სოფლისა დაბადებისა და დირს მყავ ხილვად ნათლისა პირისა შენისასა. ქ~კსა ტ~ა ს~ა.

ეკკლესიის გალავანში ინახება პატარა გატეხილი ძველის დროის ზარი, წონით ორ ფუთამდე; ამ ზარსაც სწორედ ამავე ხელით აქვს წარწერა და ასევე ყველა სიტყვას შემდეგ სამ-სამი წერტილი უზის, როგორც თვით ღვთაების ჯვარსა.

ზარის წარწერა იწყობა ასე: ქ~კსა ტ~ა ბ~ მე ცოდვილს პაპას დამიწერია. ვინც წაიკითხოს, შენდობა ბრძანოს. ქ. ჩვენ, ღვთის მიერ კურთხეულმა არაგვის ერისთვის შვილმა, ნინო წმინდელმა მიტროფანემ შემოგწირე ზარი ესე ხევს სიონთა მღუთაებას ჩვენის ძმის ერისთვის ბაინდურის სადღეგრძელოთ, მას საუკუნოს ცოდვათა გამომხსნელათ და სულისა ჩვენისა სახსოვრად.

მრავალი სიტყვიერი გადმოცემა შენახულა ხევ-მთიულეთში ერისთვიანთ უწესო საქციელზედ, მათგან ცუდ-უბრალოდ სისხლის ღვრაზედ; ამიტომ უადგილოთ არ მიმაჩნია, მათ შესახებ ორიოდე ამბავი მოგახსენოთ, რასაც ჩვენ დრომდე მოუღწევია.

ერისთვიანთაო, ამბობენ ჩვენი ხნიერი კაცები, ბევრჯელ გაგვიბედეს ყმათ დაჭერა, მრავალჯერ სცადეს ჩვენს ხევ-მთიულეთზედ თავისი ძლევა-მოსილი ხმალი, ბევრჯელ გამოილაშქრეს აქეთ,—მაგრამ ღვთის მოწყალებამ გვიხსნა და აგვაცდინა იმათ ბატონობასო. ძალით ყმათ ვერ გაგვხადეს და ქსნის ხეობის მკვიდრნი თავიანთ ხელში ვერ ჩაგვიგდეს, მაშინ სხვა-და-სხვა ხრიკებს მიჰმართესო. ხან გზად გაიარეს და გამოიარეს ხევსურეთისკენ და ფშავეთისაკენ, ხან, ვითომ-და მეფეების ბრძანებით, ლაშქრით ლეკში მიდიოდნენ, ხან იქიდგან საშველათ ლეკი მოუდიოდათ და ხან საშველად აქედგანაც კაცებსა გვთხოვდნენ ხოლმეო. ამ მისვლა-მოსვლაში გაიცნეს ყველა ხევ-მთიულეთში გავლენიანი და მეთაური კაცები.. შესწირავდნენ მრავალს შესაწირავს, ძვირფასს ხატთა და ნივთთა აქაურს ეკკლესიებსა და თვითონვე ღვინის კულუხი იკისრეს დეკანოზებისთვისო [1].

ამ მისვლა-მოსვლაში გაიცნეს ხევ-მთიულეთში ყველა გავლენიანი და მეთაური კაცები; და როდესაც აქ შიგა და შიგ ხალხის ნდობა მოიპოვეს და ხალხმაც გული გაუხსნა,—მათ ხევსურეთისკენ რამდენჯერმე სალაშქროდ გაგვიწვიეს. ამ ლაშქარში გაწვევის დროს კარგად გაიცნეს და დაუმეგობრდნენ ერთს გავლენიანს მოხევეს—შიოლა ღუდუშაურსა და აზნაურობა უბოძეს.

აზნაურობა, იმ დროს, დიდად სანატრელი და ძვირფასი რამ ხარისხი იყო, მაგრამ მთის კაცს რომ აზნაურობა მიეცემოდა, თანა-მემამულენი კეთილის თვალით აღარ უყურებდნენ. ეხლაც ერთ გვარს და ერთ წოდების ერს რომ განსხვავებით ვინმემ თავი აჩვენოს, იმას ხალხთან არ ეცხოვრება,— ათას ნაირს აზრს შეადგენენ და ათას გვარად ახსნიან მისს საქციელს.

ერისთვიანთ მაშინ, ხალხის ნდობა ჯერ არც მესამედისა მოეპოვათ და დანარჩენი ორი წილი კიდევ ეჭვის თვალით უყურებდა შიოლას და ერისთვიანთ საქციელსა. მართალია, შიოლა ღუდუშაურის გვარს ძლიერის ომით, ვაჟკაცობითა და ციხე-სიმაგრეებით ძალ-ლონე შესწევდა ხევში ერთგული სამსახური გაეწია ერისთვიანთათვის და როგორც იყო ხალხი ყმად ჩაეგდო და აეღო ყალანი მათ სასარგებლოდ, მაგრამ იმ დროს არც მთლად თემის ხალხს ეძინა და შიოლაზედ უფრო მხნე და გმირი ვაჟკაცნი მოიპოვებოდნენ, თავისის თავისუფლების დამცველნი.

შიოლამ მართლაც ჩქარა გამოიჩინა აზნაურული მადა და, ერისთავის წაქეზებით, სადაც-კი ხელი მიუწვდებოდა, დაუწყო სუსტებსა და უძლურებს ძარცვა და გლეჯა. ხალხი ბრაზდებოდა, ღელდებოდა, როდესაც იმათი თანამოძმე და თანამემამულე, ისეთივე მთის კაცი, როგორც დანარჩენი მოხევეები, უეცრად ერისთვიანთაგან ამაღლებული, დაცვის მაგიერ ხალხს არბევდა და სძარცვავდა. მრავალჯერ მოიყარა ხალხმა თავი საკრებულო და საბჭო ადგილებში, მრავალჯერ შეჰკრეს პირი ამ თავაღებულის აზნაურისა და მთის ხალხის მოღალატისათვის სასტიკი სასჯელი მიეყენებინათ და თავის ჭკუაზედ მოეყვანათ, მაგრამ თემის ხალხი ამას ვერ ახერხებდა, რა-დგანაც შიოლას კარგი ციხე-სიმაგრეები ჰქო-ნდა სოფელს „სნოსა“ და თავისი თანამეგვა-რეებიც, ღუდუშაურები ხელ-ნაკლებად არ ჰყვანდა [2].

თემის აზრით, შიოლა უნდა დასჯილიყ იმიტომ-კი არა, რომ აზნაურად გახდა ხევში, არამედ იმიტომ, რომ მამულის მოღალატე იყო და გამტეხი თემის პირისა პირადის ღი-რსების მოპოვებისათვის. პირადი შეხვედრ შიოლასი მოხევეთ ვერ მოახერხეს და ვერ იმის ციხე-სიმაგრეებს დასწვნეს და ამიტომ თემმა ხელმეორედ მოახდინა კრება და გად სწყვიტა, რომ სათემოდ შეესყიდა ერთი შიო-ლასთან დაახლოვებული ხევსური (მთრეხელი), რომელსაც ფიცი ჰქონდა ნათქვამი შიოლა გათხოვილ დასთანა.

დაი შიოლა ღუდუშაურისა იყო ქმართან ახალციხეს, იქვე სნოზედ, 2—3 ვერსის მანძილ ზედ. თემის შესყიდულმა ხევსურმა მთრეხელ მა მამა-პაპეულს ჩვეულებაზედ აადუღა ლუდ გადაჰკიდა ცხენს, აიხვა თავისი აბჯარი და გაუდგა შიოლასაკენ გზას, ვითომ-და ძღვენ მისატანად. მაგრამ სანამ ხევსური იქ ძღვენ მიტანას მოახერხებდა და შიოლას ღალატ თავის მსხვერპლად გაიხდიდა, შიოლას და სმინეს, რა განზრახვითაც მიჰქონდა მასთან ძღვენი მთრეხელსა.

ერთს დილაზედ ჩვეულებრივ თავის ხელ ქვეითი ღუდუშაურებით შიოლა აჩხოტს წასა ლიყო სანადიროთ. აჩხოტში მიმდინარეს უბ შეჰხვდა ის ხევსური, რომელსაც მისი ღალა ტით სიკვდილი ჰქონდა განზრახული. შიო ლასთვის ცხადი იყო, რა აზრითაც მეძღვნე მიემგზავრებოდა მისკენ, მაგრამ ხევსურმა

---

[1] ერთს გერგეტის წმ. სამების გუჯარში სწერია პირობა ერისთვიანთ მიერ მიცემული, რომ ყოველ-წლივ ტკბილის დროს უნდა აძლიონ 7 საპალნე ღვინო. პირობის დამრღვევს-კი წყევლა-კრულვით იხსენიებენ სიგელში.

[2] ღუდუშაურების გვარი ხევში 140 კომლამ ირიცხება.

ოდ ჩვენ გვეჩვენებოდა მაშინ, რადგანაც გარს თათრის ქალები გვეხვევნენ და ჩვენს ქალებს მათ ვადარებდით.

დღევანდელნი რომ ძველ დედებს დაემსგავსონ, ეს ღმერთმა ნუ ქმნას, და ჩვენც უნდა ვეცადოთ ჩვენი ქალები ისე გავზარდოთ, რომ დღევანდელ ჩვენს მეზობლის ქალებს დავამსგავსოთო, მაგალითად: რუსისას, გერმანელებისას, ინგლისელებისას და სხვანიო... და არა ძველ სასაცინო დედებს, რომელნიც ბატონ-ყმობის დროს ფარფაშობდნენ და მტრების მოგერიებაზე ჰფიქრობდნენო, მაგალითად: თამარ მეფის დროს ქალებიო და სხ...“ ეს გახლავსთ ბატ. გარეჯელის აზრი ქართველ ქალების შესახებ, სრულიად წინააღმდეგი ჩემის აზრისა და მიტომაც ის ჩემს ოცნებას უკიჟინებს და მის ბრძნულ აზრს ვერც მე ვუკმევ გუნდრუკს.

ვინ არის ჩვენ ორში შემცდარი და ვინ არა, რომ გამოირკვეს, ამისთვის საჭიროა მკითხველმა გულ-დასმით მოისმინოს ჩვენი ნათქვამი, წამოვაყენოთ ჩვენი „მავნებელი ოცნება“, დაუპირდაპიროთ გარეჯელის „სასარგებლო სიბრძნეს“, ისინი გავაბაასოთ ერთმანეთთან, მაგრამ რომ გადასხვაფერება და ბანზე სიტყვის აგდება აღარ მოხერხდეს, სწორეთ იმ სიტყვებით-კი, რაც ჩვენ გვითქვამს, ან რასაც ბ-ნი გარეჯელი ამბობს:

გარეჯელის სიბრძნე.— ვინ ხარ შენ? და ვინა ვარ მე?

მგოსნის ოცნება.— მე გახლავარ მგოსნის ოცნება და თქვენ-კი ბრძანდებით სიბრძნე ცხოვრებისა.

სიბრძნე.— ჭეშმარიტია!.. მაშ ისიც გეცოდინება, თუ რა განსხვავებაა ჩვენ შორის.

ოცნება.— როგორ არა! მე აღმაფრენი ვარ და თქვენ დაბლა მორჭმული სიბრძნე.

სიბრძნე.— მაშ როგორღა ჰბედავ, რომ საბაასოდ მიწვევ!

ოცნება.— მაშოროს!.. მე თქვენი სამფლობელოსკენ ფეხიც არ გადმომედგას! მაგრამ თქვენ-კი, ჩემდა მოულოდნელად, ჩემს სამფლობელოში შემომეჭერით შურდულით ხელში, დამიწყეთ ქვის სროლა, რომ ფრთები მოგემტვრიათ ჩემთვის, ძირს ჩამოგეგდეთ და ჩემი წმიდა-წმიდათა შეგელახათ.

სიბრძნე.— ეს მიტომ, რომ შენი აღმაფრენა „სასაცინო“ იყო, „მავნებელი საზოგადოდ“, და წაყრუება აღარ შეიძლებოდა.

ოცნება.— „არ ცოდნა არ ცოდვაა“, ნათქვამია. შეიძლება, მართლა უგნურება რამ ჩავიდინე, უნებურად ვნება მოვიტანე და სასაცინოც გავხდი; და მიტომაც გაგსარჯეთ და გამოგიწვიეთ, რომ საჯაროდ მამხილოთ და გამამტყუნოთ. მაშინ სასაცინოსი შემრცხვება, უგნურებას აღარ გავიმეორებ, სავნებელს შევინანებ და თქვენც, როგორც კეთილ მოძღვარს, თაყვანსა გცემთ. მანამდი-კი „უფალო, ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე და ნუცა რისხვითა შენითა მასწავლი მე!“

სიბრძნე.—მაშ კარგი!.. რადგანაც ქვეყანაზედ არ დაბადებულა არც ერთი მგოსანი, რომელსაც ქალები არ ჰყვარებოდეს, მაშასადამე, შენც, ოცნებავ, როგორც მგოსნის წარმომადგენელს, ქალები გიყვარს!

ოცნება.—ეგ რაღა საქმეა? სიყვარული, ეს ციური ნიჭი, ყოველი სულდგმულის საწილოა. ქალები უყვარს მგოსანსაც და არა მგოსანსაც; მაგრამ თვით სიყვარულში-კი განსხვავებაა: პირველს უყვარს „გოჩასებურად“ და მეორეს „ფატმანურად“.

სიბრძნე.—არ მესმის!..

ოცნება.—რომ მიგახვედროთ, ენციკლოპედიის ენით მოგახსენებთ: „პლატონურად“ და „ეპიკურიულად“, ე. ი. სულიერად და ხორციელად.

სიბრძნე.—მაშ ეს გოჩური რაღა იყო?

ოცნება.—ჰმ!.. თუ არ შემრისხავთ, ერთს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ: ჩვენში საზოგადოდ, უმეტესობას ის ღვთის ცეცხლითა და უკვდავების წყაროთი მომზადებული საზრდო, პოეზია, როცა ქართულია, მხოლოდ პირის ჩამაგემრიელებელი საწუწკარი რამ ჰგონიათ და ჩვენებურ კაცის პოეტურ აღმა-ფრენას ისე უყურებენ, როგორც სათამაშოდ გაკვრულ ბურთს, მხოლოდ თვალის სასეიროს და არა საგულისხმოს.. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ გეხსომებათ და გეცოდინებათ, თუ რა არის „გოჩასებურობა“; ახლა-კი იძულებული ვარ მე მოგახსენოთ:

„გოჩა“ იყო მეჩვიდმეტე საუკუნის გამოჩენილი მგოსანი დასავლეთ საქართველოში. იმავ დროსვე სცხოვრებდა დედოფალი თამარი, საარაკო მშვენიერებით განთქმული, რომელსაც გენათლიდგან დაწყებული უკანასკნელ ჯარის კაცამდე, დიდი და პატარა ყველა შესტრფოდა, როგორც ცით მოვლენილს ხატებას. იმერეთის მეფე, უსინათლო ბაგრატ, სამეგრელოს მჭევრ-მეტყველი მთავარი, დადიანი, გურიის ვეფხ-გმირი გურიელი და სხვა-და-სხვა კუთხის ერისთავ-დიდებულნი სისხლს ანთხევდნენ და მუსრს ავლებდნენ ერთმანეთს მისის გამოისობით. მაგრამ ამ საოცნებო, სწორ-უპოვარ ქმნილებას-კი მგოსნისკენ ეჭირა თვალი და, ჰოი, საკვირველებავ, საწყალი „გოჩა“-კი უკუდგებოდა. ერთსა და იმავე დროს გოჩას უყვარდა თამარი, როგორც ხორციელი მშვენიერება და სძულდა კიდეც, როგორც სულიერი უშვერება. ამ ორჭოფ გრძნობით მოქანცული გაურბოდა და შესტრფოდა, როგორც მგოსანი, ოცნებით წარმოდგენილს და განხორციელებულს, სულითა და ხორცითაც ამაღლებულს, მეტორმეტე საუკუნის ქალს თამარ-მეფეს.

როდესაც თამარს უნდა შეიტყოს მიზეზი, თუ რად სწუნობს და პასუხს არ აძლევს მისს სიყვარულს, აი, რას ეუბნება მგოსანი:

„ღირსი არა ვარ მე მაგ დიდების!..
ვერც შევიფერებ მე მაგ წყალობას!...
სხვა რამეს ეძებს ეს ჩემი ქნარი,
სხვა ბანი უნდა ჩემსა გალობას“

ესე არწმუნებს და თანვე დასძენს, რომ მშვენიერება შენი მეც მხიბლავსო.

„გამოუხატავს შენში ბუნებას
შემოქმედების ძალი ძლიერი:
თვალ-ტანადობა, გრძნობა-გონება,
ნიჭი ბევრ-გვარი, გულ-სახმიერი.
მოვლენილი ხარ კაცთა მხიბლავად,
კურთხეულ იყოს მისი განგება!
ენამ, უძლურმა, მომაკვდავისა
ღირს შესაფერი ვით შეგძლვნას ქება?!.
როდესაც გიჭვრეტ, ცას ვხედავ გახსნილს
და სასუფევლის მშვენიერებას!
შენა ჰგრეხ სიმებს ჩემის ჩანგისას,
და მეც უცნაურს ვგრძნობ ნეტარებას!
მაშინ ვემხობი შენ წინ სიმდაბლით
და გრძნობით ვიხრი თავს დედოფალო!..
მაგრამ... მე... იმ დროს... თვალ-წინ მეხატევის
შენი ნაღვაწი სისხლისა კალო:
მომაკვდავთ კვნესა, ქვრივ-ობლის წყევა,
ქვეყნის ღაღადი, ერთა ყვედრება.
მესმის!.. და წინა ტკბილი ოცნება
ვითა სიზმარი, ისე მიქრება.
სასიყვარულოდ აღელვებული
მაშინ მე გული შურით მევსება.
და გასაკიცხავ ლექსად იცვლება
მომზადებული ქებათა-ქება“-ო და სხვანი.

ერთი სიტყვით, გამოტეხილს ეუბნება, რომ მე, როგორც მგოსანი, ვერ ვსჯერდები მარტო ხორციელ მშვენიერებას, მასთან ერთად სულიერსაც ვეძებ და მიტომ ვეტრფი და ვუგალობ იმ დიდ თამარსო. ამაზე გულ-დაწყვეტილი მოტრფიალე ასე ეუბნება:

„ნეტავ, მგოსნები რა ქმნილება ხართ;
და რად ხართ მანგრე ახირებული,
რომ თვალს არიდებთ ამოსულ მთვარეს
და ჩასულ მზისთვის გიღელავსთ გული,
უკუ უდგებით დღევანდელ ნათელს,
ოცნებით ანთებთ გამქრალსა ლამპარს,
ნამდვილსა სტოვებთ უყურადღებოთ
ღ გულს აყოლებთ გადასულ ზღაპარს!“-ო.

ამის პასუხად აი რას მოახსენებს მგოსანი:

«მაგას რად ბრძანებთ, აბა, ბატონო!
განა თამარნი ქვეყნად ჰკვდებიან?
საუკუნოდან საუკუნოში
ისე, ვით მთვარე, გაახლდებიან.
მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყება
მათი სიცოცხლე დაუვიწყარი
და სათაყვანოდ სამარადისოდ
საერო გულის ეღებათ კარი.
მეცა ყოველ-წამ თამარი სათნო
თვალ-წინ მეხატვის გაბრწყინვებული,
იმის გამო მაქვს სულის კვეთება
და მისთვის მიძგერს სიწმიდით გული.
ის არის ჩემი წმიდა-წმიდათა,
ჩემის სულის დგმა, ჩემი გულის თქმა,
ჩემის არსების გამასპეტაკი,
წმიდა მირონი და აიაზმა!“-ო.

ახლა მგონია, ცხადია, თუ რას ნიშნავს „გოჩასებური“ სიყვარული და ის მგოსანიც, რომელსაც თქვენ უკიჟინებთ და რომლის წარმომადგენლადაც მე გახლავარ აქ, სწორედ გოჩასებურ ორ-ცეცხლ შუაა ჩაყენებული: მოსწონს, უყვარს დღევანდელი დედები, მაგრამ გულ-დაწყვეტილი-კი გაურბის მათ, როგორც გოჩა თამარ დედოფალს და იმავე დროს უგალობს, შესტრფის ოცნებით მკვდრეთით აღდგენილ ძველ დედებს, როგორც თამარ-მეფეს და ნამდვილად ვერ მიმწდომი მათი, ჰნატრობს, რომ მომავალში მაინც შევიძინოთ ძველების მსგავსი დედები.

სიბრძნე.—და კიდეც ეგ ნატვრა არის სასაცინო!.. გაზვიადებულად წარმოგიდგენია ჩვენი წარსული და უკანონოდ ადარებ მას ჩვენსავე აწმყოს. „საქმე იმაშია, რომ ჩვენს ძველ ოჯახს გარშემო თათრები ერტყა და იმიტომაც ჩვენის ქალების ავ-კარგიანობის საზომად თათრის ქალი იყო; როცა იმათ შევადარებდით, რა თქმა უნდა, ჩვენი ქალი ყოველის მხრივ ათასჯერ უფრო მაღლა უდგა და მაშინ ჩვენი ქართველი ქალი მოგვწონდა, რადგანაც უკეთესი არ გვენახა. ღვთის წყალობით, დღეს ჩვენ, ქართველები, მთლად საქრისტიანოში ვართ მოთავსებული და აღარც-კი ვიკადრებთ ქართველი ქალები თათრებისას დავადაროთ. არ ვიკადრებთ მიტომ, რომ დღევანდელი დაწინაურებული ქალები მოიპოვებიან მხოლოდ ევროპიულ ოჯახებში—საფრანგეთსა, ინგლისსა, გერმანიასა, რუსეთში და სხვაგან და არა სათათრეთში.“

ოცნება.—ეგ არ არის სიმართლე!.. სწორეთ ბანზე სიტყვის აგდებაა: ჩვენს დედებს, მაშინდელ ქალებს, მარტო თათრის ქალებს-კი არ ვადარებდით... იმ დროის სხვა ქვეყნის ქალებსაც და ისევ ის დასკვნა გამოგვქონდა. დღესაც იმათ დღევანდელ ჩვენ ქართველ ქალებს ვადარებთ და უპირატესობა ძველებს რჩებათ. ამიტომაც გვინდა, რომ დღევანდელი ქალები იმ ძველების მსგავსები იყვნენ, რომ ძველი ოჯახი დაგვიბრუნონ.

სიბრძნე.—საქმეც ეგ არის! „რა ოხრებათ გვინდა ძველი ოჯახი, სადაც გაძლიერებული ბატონ-ყმობა ჰსუფევდა, სადაც ქმარი თოფიარაღში იჯდა და წლითი-წლობამდე მტერს სდევნიდა; ცოლს ზურგზედ აკვანი ეკიდა და თავ-შესაფარად ციხე-ქალაქისაკენ გარბოდა. გავიდა ის დრო და იმ დროული ოჯახიც სამუდამოდ განქრა; და ადრინდელ ცხოვრების გარემოებაზედ დამყარებული ოჯახი დღეისთვის უადგილო და უმაქნისოა“. ამის მიუხედავად, ზოგნი და მათ შორის ჩვენი მგოსანიც, განცვიფრებით ჰკითხულობს: „რა იქნა ქართული ოჯახი ტრადიციით გადმონაცემიო; ძველ-დედებს, ქართველ-ქალებს ვეღარა ვხედავთ და მათი აჩრდილიც-კი გვენატრებაო“.

ოცნება.— რად მწამებთ იმას, რაც გულშიაც არ გამელება? ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „მთქმელს გამგონი უნდაო“. როდესაც მე ძველ დროს ვიგონებ და ძველ დედებს ვნატრობ, ნუ-თუ თქვენ ვერ მიმხვდარხართ, თუ რას ნიშნავს ეს ნატვრა? როდესაც ვინმე მოძღვარი, მქადაგებელი ურჩევს თავის სამწყსოს: „მიჰბაძეთ მოციქულთა და მოიქეცით ისე, როგორც იქცეოდნენ პირველ საუკუნის ქრისტეანებიო“, ეს სურვილი ნუ-თუ იმას ნიშნავს, რომ ის დრო სავსებით ამ დროში გადმოვიდესო და ხელ-ახლად იშვან: იროდი, პილატე, იუდა და სხვანიო? და მაშინდელი გააფთრებული კერპობა და ებრაელობაც შემოერტყას გარს დღევანდელს მოციქულებსო? არა, ჩემო ბატონო! ვინ არ იცის, რომ ერთი საუკუნე მეორეს არა ჰგავს? თვითეულს მათგანს შესაფერი ელფერი აძევს; ყოველ საუკუნესა ჰყავს თავ-თავისი იუდა-იროდები და საჭიროა მათი მოწინააღმდეგე მოციქულებიც. როცა მე ძველ დედებსა ვნატრობ, ნუ-თუ იმ ნატვრაში ისიც ისახება, რომ ბატონ-ყმობა ისევე აღსდგეს? თუ მარტო ის, რომ დღევანდელი ჩვენი ქალებიც ისეთივე მხნე, თავ-დადებული და სამშობლოს მოყვარულნი იყონ, როგორც ჩვენი ძველები ყოფილან და ესენიც ამ დროს შესაფერად დღევანდელ ბოროტებას ეწინააღმდეგებოდნენ და ებრძოდნენ!

სიბრძნე.— „საკვირველია, ღმერთმანი, რომ ჩვენ, ქართველები, ნატვრაშიაც უხეიროები ვართ: თამარ-დედოფლის დროის ქალების აღდგენა რომ არ ვინატროთ, უფრო ადვილი სანატრელი არ არის, რომ ჩვენი დღევანდელი ოჯახი, დედა და ქალი დღევანდელ ევროპიულ საუკეთესო დედას და ქალს დავამსგავსოთ“?..

ოცნება.— რათა, ბატონო? როცა სამაგალითო და მისაბაძავი ჩვენს ოჯახშივე გვყავს, იმას რათ უნდა ავარიდოთ თვალი და სხვის უბანში ვეძიოთ! თქვენის აზრით, ჩვენი დედები მხოლოდ მაშინ, იმ ძველ დროისათვის, ყოფილან გამოსადეგი, თორემ დღეს ვეღარ გამოდგებოდნენ? ერთს საუკუნეში მცხოვრები, მადლით მოსილი და მადლი ნიჭით მომადლებული, ნუ-თუ მეორე საუკუნეში ვეღარ გამოდგება, რადგანაც მეორე საუკუნის მოთხოვნილება სხვა არის? ნუ-თუ ჩვენი დედები, დღეს რომ დაბადებულიყვნენ იმავე ნიჭით, სიმხნით და სიკარგით, დღეს მაინც ვეღარ გამოდგებოდნენ? კარგი რამ არც ერთს საუკუნეში არა ჰკარგავს თავისს ღირსებასა. და ფასს. ლალ-ზურმუხტ-იაგუნდი პირველ საუკუნეში, მეთორმეტეში და მეჩვიდმეტეში გამოჩენილი, ამ საუკუნეში აღარ უნდა იხსენებოდენ თვალ-პატიოსნად? და დღევანდელ სიპ-რიყის ქვებს შეეძლებათ უთხრან: თქვენ მხოლოდ ძველად ყოფილხართ სახსენებელი და ჯავარიც მაშინ გქონიათ და დღეს-კი, რადგანაც სხვა დროა, ჩვენთან ვეღარ მოხვალთო? ნუ-თუ დღევანდელი ნინოები, თამარები და ქეთევანები უკიჟინებენ იმ ისტორიულ დედათა ტრიუმვირატს, რომელიც მაღლით სხივებსა ჰფენდა და აბრწყინვებდა საზოგადოდ ჩვენს დედებს?

სიბრძნე.— პატივი და დიდება იმ დროსა და მაშინდელს ქალებს!... მაგრამ ისინი დღეს გადასული არიან, აღარ სჩანან და მათის იმ დროულის მცირე ბარგით დღეს ვეღარ გამოჩნდებოდნენ. დღეს, როდესაც სწავლა-მეცნიერება დაწინაურებულია და ცხოვრების მოთხოვნილებაც სხვა გვარად რთული, რაღა სანატრელია თქვენი ამოჩემებული ძველი ოჯახი? „რაღა ღობე-ყორეს ვედებით და საქმეს ტყუილად ვიძნელებთ; ის არა სჯობია, დავადგეთ ევროპიელებისაგან გარკვეულ გზას და ისე აღვზარდოთ ჩვენი ქალები, როგორც ისინი ზრდიან?“

ოცნება.—ისემც ღმერთმა კარგი დაგმართოთ, კარგი ეგ იქმნეს! ან როდის ვყოფილვარ მა-

---

იცოდა, თუ მისი განზრახვა შიოლამ იცოდა.

— გამარჯვება შენი მთრეხელო!—უთხრა შიოლამ.

— შენადაც გაგიმარჯვას, ბატონო! უპასუხა ხევსურმა.

— სად გაგიწევია, ხევსურო?—შეეკითხა შიოლა.

— თქვენკენ, ბატონო, თქვენის დისკენ ძღვენ მიმაქვის.

— ჰო! ვიცი რაც ძღვენი მოგაქვს! ვიცი! ვიცი! ხევსურის ფიცი და წამება! დაჰკივლა მაღლა-მაღლა ღუდუშაურმა და ქვეშევრდომებს უბრძანა ცხენი ჩამოერთმიათ.

მხლებლებმაც მაშინვე წაართვეს ცხენი ხევსურსა, მაგრამ არ აკმარა შიოლამ ცხენის წართმევა და უბრძანა, ახლა შვილდიც ჩამოერთმიათ. ხევსურმა შვილდი არ მისცა და პირდაპირ გულში დაუჭირა ახლად გაზნაურებულს შიოლა ღუდუშაურსა და იქვე სული გააფთხობინა.

მთრეხელი შიოლას მოკვლის შემდეგ იმ სოფლისაკენ გაიქცა, სადაც შიოლა ღუდუშაურის გათხოვილი და ეგულებოდა, მასთან კი დათ იყო ნაფიცი; მდევრად ღუდუშაურნი დაედევნენ და შური ეძიეს.

ამაზედ შემდეგი ლექსი არის ხალხში დარჩენილი, რომელსაც მოხევენი დღესაც მღერიან:

შიოლავ ღუდუშაურო!
სკამს იჯექ ერისთვისასა [3]).
ახლა რა ღმერთი გაგიწყრა,
მონასა გევხარ ლუთისასა?
არ გაგიშვია მთრეხელი,
ხევს მიმავალი დისასა;
ცხენი სთხოვე და დაგითმა,
შვილდს რაღას ართმევ რქისასა?
შვილდი არ დაეთმიება,
ადგილს სდგას ნაპირისასა?
დაგიჭირა და გულსა გკრა
ბატონსა აჩხოტისასა.
აქამდე სჭამე აჩხოტი,
ახლა მე გაჭმევ ქვიშასა.
ტანზედით აბჯარს ვინ ამყრის
ვაჲ, დედას შავის ყმისასა!
ცხენზედით ვინ ჩამომახდნეს!
შავ-ბიჭსა მთრეხელისასა!
მივმართავ ყოვლად წმიდასა,
შეწევნას ვითხოვ მისასა!
კარები ღია არ დაჰხვდა,
კარები მღვთის შობლისაცა.[4])
ნეტავ, არ შეიხვეწიებს
ძმისა მომკვლელი დისასა?
როგორ არ შეიხვეწიებს,
ვაჲ, დასა შავის ძმისასა!?
მოსდევდენ ღუდუშაურნი,
რისხვასა გვანდენ ღვთისასა.
ნუ მახვალთ, ჩემო მამულნო;
ნაწნავს ნუ მომჭრით თმისასა!
კარებით არვის გაუშვებს,
საკომით უკრვენ ისარსა.
უბნობენ წამოქცევასა
იმ ახალციხის კლდისასა,
შიგ მომწყვდევასაც ამბობენ
ბებერის ჩაბაძისასა.

მთის ჩვეულებისამებრ მოქცეულა საწყალი ხევსური, როდესაც მეზობლის სოფლის წმიდა ეკკლესიისათვის მიუმართავს იმ იმედით, რომ ხატში შეხიზნულსა და შეხვეწილს მთის ხალხი ხმას აღარ გასცემდა და ღუდუშაურნიც ყოვლად-წმიდის ეკკლესიის წმიდანებს არ შებილწავდენ მთრეხელის სისხლით, მაგრამ კარები დახშული დახვდა.

ხევსური ტირილით ეხვეწება დათ ნაფიცს შიოლას დას „შემიხვეწივე, სიკვდილ გადამარჩინე, შენი მამისახლი სასიკვდილოთ მომდევსო“ ღ პირდაპირ თავის მოკლულის დის სახლში შედის.

გაიგებს-რა ამ საშინელს ამბავს დაი შიოლასი, ეხვეწება ტირილით თავისს მამისახლს ღუდუშაურებს: „ნაწნავს ნუ მომჭრით თმისასა, ამ შემოხვეწილს სტუმარს სახლში ნუ მომიკლავთო“. კარებსა ჰკეტავს, მაგრამ ღუდუშაურთა გაცხარებული მდევარი დის თხოვნას პატივს არა სცემს და საკომებით ისრით ხვრეტამენ მტერსა.

ღუდუშაურები რომ შურს ეძიებენ და უკან ბრუნდებიან, შიოლას და წავა სათიბზედ, ქმარს შეატყობინებს ამ ამბავსა და თან აქეზებს: „ჩემმა მამისახლმა შენს სახლში შენი შემოხვეწილი ტყვე მოჰკლა და პატივი არა ქცაო; ისევ კლდე რომ დამექცეს თავზედ და შიგ მოვემწყვდე, ისა სჯობიანო!“

ლექსათ ასეა ნათქვამი:

„ამბობენ წამოქცევასა
იმ ახალციხის კლდისასა,
შიგ მოტანასაც უბნობენ,
ბებერის ჩაბაძისასა.“

გაჯავრებულმა ჩაბაიძემ, სიძემ ღუდუშაურებისამ, არ მოითმინა ასეთი თავხედობა ცოლეურებისა და პირდაპირ ეკვეთა სოფ. სნოში და ორი ღუდუშაური იმსხვერპლა და თავადაც მათი მსხვერპლი შეიქმნა.

ასე გათავდა ერისთვიანთ გაბატონება ხევში, შიოლას გააზნაურება და სკამის ჩუქება.

ახლა მთიულეთისა უნდა მოგახსენოთ.

რაკი ღმერთმა ერისთვიანთ ხევში გაბატონებას არ გაუმარჯვა, ახლა მთიულეთს შემოადგნენ ნუგზარ, ზურაბ, ჯიმშერ და მრავალნი სხვანი, რომ იქ მაინც ფეხი როგორმე მოეკიდნათ და მთა თავისს სამკვიდროთ, საყმოთ გაეხადნათ. მრავალჯერ ხევ-მთიულეთი მოტყუებით ერთურთსაც-კი წაამძგილავეს, რომ ამით მათი ძალა როგორმე შეესუსტებინათ, პირი დაეყოთ და ძმა ძმის სისხლის მსმელ მტრად გადაექციათ, მაგრამ, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, მთასაცა ჰყვანდა მრავალი გმირი და მხნე ვაჟკაცი, ისინიც კარგადა ჰგრძნობდნენ ერისთვიანთ უკუღმართობასა და ხრიკებს და თვალ-ყურს ადევნებდენ.

ორჯელ თრუსო და ჯაბურის ოსებით კიდევაც გაილაშქრეს ხევ-მთიულეთზედ, მაგრამ, მოხუცებულების სიტყვით, ერისთვიანნი დამარცხებულნი უკუ-იქცნენ. ერთს დროს ჯიმშერ ერისთავმა დიდ-ძალი ჯარი შეჰკრიბა და გამოემგზავრა ხევ-მთიულეთისკენ. იმ ღამეს ცოლმა სიზმარი უამბო თურმე ჯიმშერს და უშლიდა აქეთ წამოსვლას:

ჯიმშერ ემზადება ხევსა,
ქალბატონი უშლის ხელსა.
ჯიმშერ! ნუ მიხვალთ ხევსა—
წუხელ ვიყავ ავს სიზმრებსა.
შენსა დიდსა სასახლესა
სამი ზარბაზანი ჰკრესა!“
— რასა ბძანებ, ქალბატონო,
მაგისთანა სიტყოებსა?
მე რომ ხევისკენ წავალი,
ჩემი შიში ქვას არღვევსა!
ფურ-ბერწებს მრავალს მოგირეკ,
გასუქებულს ერკამლებსა.
ბედაურ ცხენებს მომცემენ,
სასეირნოთ მალქაფებსა,
გაისერ-გამოისერნე,
შეშურდება თავადებსა.

ჯიმშერი ცოლის რჩევას არ ისმენს და მაინც მთიულეთისკენ გამოსწევს. მაგრამ მთიულეთმა კარგად იცის ჯიმშერის აზრი და მოძრაობა; ისიც იცის, რომ მათი თანა-მოძმე ხევი ჯიმშერმა დაიმონავა და ყალანი აჰკრიბა, მთიულ-მოხევეთ მოუსვენარი მტერი მაშინ ამ ჭირს მთიულეთსაც არ დაულევს და დღეს გაუმწარებს. შეიტყეს-რა ხევისკენ გამგზავრება ჯიმშერ ერისთავისა მთიულთ, ბევრი აღარ აგვიანეს და შეიყარნენ თავისს წმიდათა-წმიდა სალოცავის ლომისის წმიდის გიორგის ხატთან მლეთეში საბჭოთა და აღუთქვეს ყოველს წელს დამწყალობნება ლომისის ჯვარით, ვინც თავს დასდებს და ჯიმშერს ცოცხალს არ გაუშვებსო ხევისკენ ყალნის ასაღებად.

აქაც ერთმა მთიულმა, სახელდობრ, ხუცა ბურდულმა იკისრა ჯიმშერის გამკლავება; ჩაუჯდა გზაში მლეთის მხარეს და ტყვიით გული გაუგმირა ჯიმშერს.

ამაზედ შემდეგი სამღერალი ლექსი არის დღემდის ხალხში დარჩენილი:

ხუცაი ჰფიცამს ძმისასა,
იმ თავის ლომისისასა:
ორივეს დედას ვატირებ,
ჩემსა და ჯიმშერისასა.

რა-კი ლაშქარმა თავისი სარდალი და მეთაური მკუდარი ნახა, უკუ-იქცა და გაეხიზნა განსაცდელიანს მთიულეთსა. ამაზედ არის ნათქვამი ლექსად:

მთიულეთია, ბატონო!
ვერ იზამთ ქვეითობასა!
დაგიწვრილდებათ კისერი,
ვერ იზამთ ერისთობასა! [5])

კალმის-წვერა.

---

[3]) ერისთვიანთ უჩუქებიათ სკამი სახსოვრად, ანუ ჯილდოდ განასაჯობისათვის და მხნეობისათვის და ამ [illegible] დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული ღუდუშაურთა გვარში და მთლად გვარეულობა თურმე იჩემებდა აზნაურობას.

[4]) გაქცეული ხევსური უნდა ყოვლად-წმიდის საყდარში შესულიყო, რომელიც სოფ. ახალციხის გვერდზედ არის აშენებული თამარ-მეფისაგან მშვენიერის თლილის ქვითა და საუცხოვო ძვირფასის ხელოვნებითა და გეგმით, მაგრამ ბედმა უმტყუნა ხევსურსა და კარები ღია არ დაჰხვდა.

[5]) მთა ერისთვიანთი მადლობელი არც რუსის მხედრობის შემოსვლის დროს არის; მაშინაც ბევრი სიმწარე მიუყენებიათ ჩვენის წინაპრებისათვის.

გის წინააღმდეგი? პირ-იქით, სულ მაგის მონატრული არა ვარ? მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში პედაგოგის სიბრძნე და მგოსნის ოცნება ერთმანეთს ვერ მისდგომიან და სხვა-და-სხვა ნაირად აქვსთ წარმოდგენილი დღევანდელი ევროპიული აღზრდა. მიბრძანეთ ერთი: ევროპიულს აღზრდას რა უძევს ქვა-კუთხედად, თუ არ დედა-ენა და განსაკუთრებით სიყვარული მისი სამშობლოსი? აბა ერთი ურჩიეთ ევროპიულად განათლებულს რუსებს, რომ იმათაც სწორედ ისე გამოზარდონ თავისი შვილები, როგორც არიან გამოზდილი და მაღალ სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილნი ფრანგის ქალები, ნუ ეცოდინებათ-კი დედა-ენა, შეიძულონ თავისი სამშობლო, უარ-ჰყონ წარსული და ნუ იფიქრებენ მათის სამშობლოს მომავალზე; და მაშინ ნახავთ, თუ რა პასუხს მიიღებთ! დღეს ეს ყოველ ერისთვის აუცილებლად საჭირო ქვა-კუთხედი ჩვენი ქალებისათვის დაკარგულია და, მგოსანიც იმას ნატრობს, რომ ისევ როგორმე, დავიბრუნოთ და მასზედ, როგორც პედაგოგიურ პირველ საფეხურზედ, მაღალი სწავლა-მეცნიერებაც ავაგოთ და არ ჩამოვრჩეთ ევროპიელებსო. ეს საანბანო ჭეშმარიტება ყველასთვის გასაგებია და რომ მგოსნის სიტყვაშიაც, რომელიც თქვენ ვითომ ვერ გაგიგიათ, სხვა აზრის გამოყვანა არ შეიძლებოდა, ისაც ცხადია!—მაგრამ აქ სხვა რაღაც ხვანცარიკობა უნდა იყოს!..

სიბრძნე.—რაო?!. ეგ რაღა სიტყვაა?

ოცნება.—ქართული, ხვანჯარიკი, ანუ ხვანცარიკი ჰქვიან ისეთ გვარ ორ-ტოტ მახეს, რომელიც ერთი თავითაც იჭერს და მეორეთიც, აქეთაც გააბამს და იქითაც.—აქედან წარმოდგება სიტყვაც „ხვანცარიკობა“. როცა ვინმე სცდილობს, რომ აქეთაც დაიჭიროს საქმე და იქითაც, იმაზე იტყვიან „ხვანცარიკობსო“ და ეს სიტყვაც, როგორც იმ თქვენი წერილიდანა სჩანს, თქვენზედ ყოფილა ზედგამოჭრილი. ის ორჭოფი სტატია ძალიან გამხელსთ, რომ იქითაც გინდათ იყოთ და აქეთაც ვეღარ შორდებით!—კიდეც მოგწონსთ ჩვენი დედები, ქართველი ოჯახი და თითქო რაღაცა იძულებას ატანსო, კიდეც სწუნობთ. კიდეც სწუნობთ დღევანდელ ქალებს და თანვე აქებთ, თითქოს ვიღაცას ხათრს უწევსო. ეს ორჭოფობა რაღაც გაუგებარია, თორემ თვით სტატია ამტკიცებს, რომ გაუგებარი არა ბრძანდებით, და რად იჭირვებთ საქმეს?

არა სჯობია, რომ ან აქეთ დარჩეთ და ან იქით, ერთსა და ერთზე აიღოთ ხელი და თქვენი სრული ძალი არ გაჰყოთ—გაანახევროთ! ხომ გაგიგონიათ, და თუ არ გაგიგონიათ, მოიკითხეთ საგარეჯოში (თუ მართლა საგარეჯოელი ბრძანდებით), ყოველი გლეხი გეტყვისთ, რომ „ორი ნესვი ერთი ხელით ერთად არ დაიჭირება“. აგრეთვე გთხოვთ დამავალოთ და, თუ ნაცნობობა გაქვთ „კვალის“ რედაქტორთან, ბოდიში მომხადოთ, რომ მის ჟურნალში დაბეჭდილ „მოსაუბრის“ სტატიის შესახებ საპასუხოდ არა მცალია. აწ-კი მშვიდობით, ბატონო სიბრძნევ, ე. ი. „ნინია გარეჯელო“, გარეჯის მადლი იყოს თქვენზედ.

აკაკი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული დრამატიული დასი, რომელიც მოგზაურობდა ვ. გუნიას მეთაურობით დასავლეთ საქართველოში, გუშინ დაბრუნდა ტფილისს.

დასს გაუმართავს ოთხის კვირის განმავლობაში სულ 16 წარმოდგენა, რომელსაც ყველგან დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. კერძოდ ქუთაისში გაუმართავთ 2 წარმოდგენა, ფოთში —3, ბათუმში—3, სოხუმში—3, ახალ-სენაკში—1, ჭიათურაში—2 (მათ შორის ერთი სახალხო წარმოდგენა, რომელზედაც ფასები შაურიდან იწყებოდა) და სამტრედიაში—2.

ამ წარმოდგენებიდგან შემოსულა სულ 2,750 მან. აქედგან დახარჯულა თეატრის და კლუბების ქირა, მუსიკა, აფიშები და პუბლიკაცია და სხვა წვრილმანი ხარჯი 952 მან. მსახიობთა მიმოსვლა და ბარგი-ბარხანის გადატან-გადმოტანა და სხვა 385 მ. მსახიობთ სასყიდლად მიუღიათ 1402 მან.

ყველაზე მეტი შემოსავალი მიუცია სოხუმს, მერე ბათუმს, ფოთს, ჭიათურას და სხვ.

ორთა შუა რიცხვი შემოსავლისა თითო წარმოდგენიდგან 172 მან.

ჩვენი მსახიობნი და განსაკუთრებით დასის გამგებელი ვ. გუნია ძრიელ ემადლიერებიან პროვინციის ინტელიგენციას, რომელიც თურმე ყოველ გვარ შეღავათს აძლევდა და ხელს უწყობდა დასს.

—

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართული დრამატიული დასი, რომელიც შეადგინა ვალერიან გუნიამ პროვინციებში სამგზავროდ, ამ ცოტა ხანში გამართავს თითო-ოროლა წარმოდგენას დაბა სურამში, ახალ-სენაკსა და ხონში. პირველი წარმოდგენა გაიმართება სურამში ამ თვის 23, კვირა დღეს. შემდეგ დასი ფიქრობს გაემგზავროს განჯას, გუმბრსა და ყარსს.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

გაზ. „ცნ. ფურც.“-ის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია მეთაურად წერილი ქუთაისის საარჩევანო სეზონის დასრულების შესახებ. ავტორი ამ, უნდა ვიფიქროთ, სარედაქციო წერილისა, ამბობს რომ ყველგან, სადა საარჩევანო ციებ-ცხელება იყო, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრებაზედ, საადგილ-მამულო ბანკისაზედ და ქალაქის ხმოსანთა არჩევანებზედ,

> ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ ისევ ძველი პარტიები: ინტელიგენციის პარტია და ჩიკვაიძისა და ამხ—ის მომხრენი. როგორც წინადაც, ისე ახლაც (ახლა კიდევ უფრო ცხადად) ჩიკვაიძის პარტიამ გამოიჩინა სრული საზოგადოებრივ-მორალური უძლურება, სრული უპრინციპობა და საქმის არ ცოდნა. არც საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა, არც საადგილ-მამულო ბანკის კრებებზე მას არ გამოუჩენია საქმიანობა და საზოგადოებრივი ძალა. კრედიტის საზოგადოებაში ეს პარტია იერიშის მიმტანი იყო, ხოლო ბანკში ძველის პოზიციებისა და მიმართულების დამცველი; მაგრამ ჩიკვაიძე-ლოლუას პარტია წელს ვერ გამოდგა ვერც თავდამსხმელ, ვერც თავდამცველ პარტიად.

შემდეგ ავტორი წერილისა ასურათებს კ. ჩიკვაიძის დასის უბადრუკობას. ამ ოდესმე დიდის „ფარფაშითა და განგაშით“ გამოსულმა დასმა წელს ვეღარა მოახერხა-რაო.

> მისნი წარმომადგენელნი ან სდუმდნენ, როცა მათ „სტუქსავდნენ“, ან ისე საცოდავად იცავდნენ თავს, რომ მათი ლაპარაკი ბავშვის ტიტინს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე პარტიის დამსახურებულ მებრძოლთა თავის დაცვასაო.
>
> ვერც ერთი პოზიცია—განაგრძობს წერილის ავტორი—მათ ვერ დაიცვეს და სრულიად დამარცხდნენ, მაგრამ სამსავე დაწესებულებაში არჩევნების დროს მაინც გამოიჩინეს ძველებური მოხერხება და ენერგია: არჩევნების მეოხებით მათ მაინც შეირჩინეს და კიდეც შეიძინეს ადგილები, საიდანაც შეეძლებათ ინტელიგენციასთან უპრინციპო ბრძოლის გაგრძელება; სახელდობრ: საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში სარევიზიო კომისიის წევრად დაასკუპეს ბ-ნი დ. ჩიკვაიძე, საადგილ-მამულო ბანკში თავის ადგილზე დატოვეს ბ-ნი ივ. ჯაიანი, ქალაქის საბჭოში თავი ამოაყოფინეს თვით ბ. კალისტრატეს.

ეს მცირედი გამარჯვება კალისტრატეს დასისა, გაზეთის აზრით, იმის ბრალია, რომ ინტელიგენცია, რომელიც მარჯვე იყო მოწინააღმდეგე დასის მოქმედებათა განხილვასა და დაწუნებაში, სუსტი და მოუმზადებელი გამოდგა პრაქტიკულ მოქმედებაში. ამის დასამტკიცებლად გაზეთი აღნიშნავს, სხვათა შორის იმ გარემოებას, რომ ინტელიგენციამ აირჩია საადგილ-მამულო ბანკში დირექტორად ბ-ნი ვასილ აბულაძე.

> ახლად არჩეული ბ. ვასილ აბულაძე პირადად ყოვლად ღირსეული კაციც არის, ალბათ, და სასამართლო უწყების სასარგებლო მოღვაწეც; მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რითი ხელმძღვანელობდა ქუთაისის ინტელიგენცია, როდესაც ასეთს გასაჭირს დროს (ბანკის საქმეები ცუდად მიდის და გამობრუნება ესაჭიროება) ირჩევდა ადამიანს, რომელსაც დღემდის მოხელეობის მეტი სხვა ასპარეზი არ უნახავს და თავისი საზოგადოებრივი მიმართულება არაფერში არ აღუნიშნავს?! წელს ინტელიგენციას ჰმართებდა სწორედ საქმის ამ მხარისათვის მიექცია ყურადღება: ბანკის მდგომარეობა მოითხოვს ენერგიულს დახმარებას და გამგეობა უთუოდ უნდა განახლებულიყო ორის საიმედო წევრით, ხოლო ინტელიგენციის პარტიამ სწორედ აქ უსუსტა. ეს ფაქტი ჩვენ მიგვაჩნია ინტელიგენციის პრაქტიკულ სისუსტის და მოუმზადებლობის მაჩვენებლად.

ეს მოსაზრება გაზეთისა-კი სწორედ გაუგებარია. თუ ბ-ნი ვასილ აბულაძე პირადად მართლა ყოვლად ღირსეული კაცია და სასამართლოს უწყების სასარგებლო მოღვაწეც, რად უნდა ვიფიქროთ, რომ ბანკის საქმეშიაც იმ ყოვლად-ღირსეულობას არ გამოიჩენს და ბანკისათვისაც ისეთივე სასარგებლო მოღვაწე არ იქნება, როგორიც იყო სასამართლო უწყებისათვის. ამისთვის, განა, რამდენის ასპარეზის ნახვაა საჭირო.

რამდენადაც ვიცით, ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეში ჩვენებურნი მოხელენი ჩამდგარან და არც მცირე უნარი გამოუჩენიათ საქმის ცოდნისა და მხნედ მოქმედებისა. ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგენი თითქმის ყველანი მოხელედ ნამყოფნი იყვნენ, მაგრამ ბანკი-კი წარმატებით მიდიოდა წინ მათ ხელში.

ჩვენის ფიქრით, ამ შემთხვევაში გაზეთი მოვალე იყო მეტის პატივისცემით მოჰქცეოდა მთელის საზოგადოების განაჩენს, მის გარდაწყვეტილებასა და არჩევანს. ალბად, საზოგადოება და ქუთაისის ინტელიგენცია ჰგრძნობს, რომ ბ-ნი ვასილ აბულაძე ყოვლად ღირსეული და მხნე კაცია, გამოსადეგი ბანკისათვის დღევანდელ მის გასაჭირ მდგომარეობაში და იმიტომ შეჰმოსა იგი თვისის ნდობით, იმიტომ ჩააბარა მოვლა და პატრონობა თვისის საკუთარის ღვიძლი საქმისა.

იმისთანა მცირე საბუთით, როგორიც გაზ. „ცნ. ფურც.“ მოჰყავს, დაწუნება კაცისა, უკვე საზოგადოების მიერ არჩეულისა, ჩვენის ფიქრით, უსიამოვნების მეტს არას დაჰბადავს და საქმეს უფრო ავნებს, ვიდრე გააკეთებს.

„ივერიის“ ფოსტა:

აქ.—ქართველს. ჩვენც თქვენის აზრისანი ვიყავით და—ხომ ნახეთ,—ვცადეთ კიდეც... მაგრამ ყველა ჩვენს ნებაზედ როდი ჰკიდია.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 ივნისი

პეტერბურგი. 12 ივნისს, საზღვარ-გარეთით დაბრუნდა პეტერბურგს დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

ლონდონი. ბიულეტენი დილის $10^1/_2$ საათისა: მეფემ ღამე უკეთ გაატარა; ჰქონდა ცოტაოდენი გამამხნევებელი ძილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა მოსჯობდა ყოველ მხრივ. ორგანოები უცილოდ კეთილს მდგომარეობაში არიან. ჭრილობის ვითარება გვარიანია.

სარატოვი. აქ ცნობა მოვიდა, რომ ასტრახანის რკინის გზის გაკეთება, უხიდოთ სარატოვიან, გადაეცა რიაზან-ურალის საზოგადოებას.

ლონდონი. ბიულეტენი ნაშუადღევის 2 საათისა: მეფის ჯანმრთელობის მდგომარეობა ისევ გვარიანია.

ლონდონი. გამოცხადებულია სია ჯილდოებისა გვირგვინის კურთხევის გამო. მეფემ დააარსა ახალი ორდენი დამსახურებისათვის და ამ ორდენის პირველ კავალერებად დანიშნა 12 კაცი, მათ შორის რობერტსი, კიტჩენერი, უოლსლეი, ექიმი ლისტერი და სხვა-და-სხვა წარმომადგენელნი მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნებისა. მილნერს ებოძა ვიკონტის ღირსება; კონნაუტის ჰერცოგს—ფელდმარშლობა.

14 ივნისი

პეტერბურგი. „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია დაწვრილებული ანგარიში იმ კომისიის ბჭობისა, რომელსაც დაევალა ზრუნვა სასოფლო მრეწველობის საჭიროებათათვის. ბჭობა ჰქონია კომისიას 30 მარტს, 24 და 27 აპრილს და 4 მაისს. კომისიას გადაუწყვეტია დაარსდეს ცალკე პატარა კომისია ტაინი სოვეტნიკის ტერნერის თავჯმჯდომარეობით და იმას მიენდოს მოწყობა წვრილის საერო კრედიტის საქმისა. ტერნერს შეუძლიან მიიწვიოს ისინიც, ვის მიწვევასაც სასარგებლოდ დაინახავს. იმ პატარა მოსამზადებელმა კომისიამ თავის მუშაობაში უნდა იხელმძღვანელოს შემდეგით: 1) წერილის კრედის ეხლანდელი დაწესებულებანი საზოგადოდ აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას, ხოლო წესდებანი სასოფლო ბანკებისა და კასებისა, აგრედვე სხვა დაწესებულებათა, რომელთაც წოდებრივი ხასიათი აქვს და ძველებურად არის მოწყობილი, უნდა გადაისინჯოს; 2) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეულ იქმნას სასოფლო საკრედიტო დაწესებულების მიერ სესხის გაცემას პურის გირაოთი; 3) უნდა დაარსდეს წვრილ კრედიტის საქმეთა თვალ-ყურის დასაჭერად ფინანსთა სამინისტროს უწყებაში ცალკე მმართველობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა უწყებათა წარმომადგენელნიც, აგრედვე წარმომადგენელნი ერობათა და მცირე კრედიტის დაწესებულებათა; 4) საჭიროა ზრუნვმ დაარსდეს იმისთანა დაწესებულება წოდებრივის ტიპისა, რომელიც საგლეხო საქმეთა საადმინისტრაციო ორგანოების ხელში უნდა იყოს და 2) ახლად დასაარსებელ მცირე კრედიტის დაწესებულებათათვის თანხის საშოვნელად ზემოხსენებულ მმართველობის განკარგულებაში იქნება ცალკე ფონდი, რომელსაც შემდეგ დაუბრუნდება სესხად აღებული თავნი ფული, რათა ამ უკან დაბრუნებულ ფულით ძლიერდებოდეს ია ფონდი.

ტამბოვი. (დაგვიანებული) სოფელ როლახში საშინელმა გრიგალმა დიდი უბედურება დაატრიალა. მოჰგლიჯა სახლებს სახურავი და დაანგრია ბევრგან ჭერი; 30 კაცი მძიმედ დსშავდა; ერთი დედაკაცი და ბავშვი იმსხვერპლა. გრიგალს მოჰყვი კოკის-პირული წვიმა და თან სეტყვა, რომელმაც ყანებს არ ავნო. ზარალი 6,000 მან.

ხარბინი. მანჯურიის სადგურიდგან ყოველ შუაღამისას გავა მატარებელი და პორტ-არტურამდე ივლის 126 საათს, ხოლო ვლადივოსტოკამდე—112 საათს.

ხარკოვი. შინაურად დაპატიმრებული და ეკატერინოსლავის ბანკში ბოროტ-მოქმედებისათვის ლიუბარსკი განთავისუფლებულ იქმნა თავდებობით. თავდებმა შეიტანა 350,000 მანეთი.—მასწავლებელ ქალთა ურთიერთის დახმარების საზოგადოება შუამდგომლობს, რომ დაარსდეს სამეცნიერო კურსები ქალებისათვის.

კილი. იმპერატორმა ინგლისის მეფე ჩაურთო გერმანიის ფლოტის უმაღლეს მოხელეთა სიაში. აქაურს ნავთსადგურში მდგომნი სამხედრო გემნი შედლუხით მიეგებნენ ამ ამბავს.

ბერლინი. დღევანდელი კერძო დეპეშები ლონდონიდგან ნაკლებად შემაწუხებელია.—ბერლინის გაზეთები ადასტურებენ ვენის გაზეთების ცნობას, რომ ამ დღეებში განახლდება სამთა კავშირიო.—ანატოლიის რკინის გზების აქციონერთა კრებაზედ წარმომადგენელმა გრინერმა აუწყა აქციონერებს, რომ ძნელია წინასწარ თქმა, როდის იქნება შესაძლო ბაღდადის შტოს კეთება დავიწყოთო.

ლონდონი, საღამოს $6^1/_4$ საათზედ: მეფემ დღე კარგად გაატარა. საჭმელიც ადვილად მიირთვა. სისუსტეს კლებულობს. სიცხე აღარა აქვს.

ლონდონი, ღამის $12^1/_2$ საათზედ: მეფემ დღე საკმაოდ კარგად გაატარა. ძალ-ღონე ემატება. საჭმლის ნდომა განმეორდა. სიფრთხილით ეძლევა. გაჭრილ ალაგას მცირე ტკივილსა გრძნობდა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო სკანდინავიის ცნობილი მოგზაური სვენ-გედინი.

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი სტრემოუხოვი დაინიშნა მთავრობის დელეგატ-დ იმ საერთა-შორისო კომისიაში, რომელმაც უნდა მოამზადოს პროგრამა საპატიმროთა კონგრესისათვის 1905 წელს.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^7/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$98^3/_8$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^1/_2$ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$359^1/_4$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289 „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$88^3/_8$ გაყ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^5/_8$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	100 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	175 წვ. გაყ

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში, ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“

თავად სუმბათოვებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37_{30} ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (წლ.—ნ.)

აბელ ქალატოზიშვილის

დილიჯნები

10 ივნისიდან დადის ქარელიდან ცხინვალამდე დღეში ორჯელ: ერთი გავა პირველის ნახევარზედ ნაშუადღევს და მეორე ექვსის ნახევარზედ საღამოთი. ცხინვალიდგან ქარელამდე: ერთი დილის 8 საათზედ და მეორე ნაშუადღევის 12 საათზედ.

(2—ნ.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით 15 ივნისს, დილის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ბეტანით წყლის სადენ არხის გაკეთებისა. არხს უნდა ჰქონდეს სიგრძე 22,00 საჟენი, დიამეტრი 0,42×0,28 და მეორე არხს კიდევ—81,00 საჟენი სიგრძე და დიამეტრი 0,25×0,16. ეს არხი უნდა დაიწყოს გონჩარნის ქუჩიდგან, უკვე არსებულ არხის პირიდგან და წავიდეს არსენალის შოსეზედ და არხიპოვის შესახვევ ქუჩაზედ. ფასი იჯარისა 1700 მან.

ვაჭრობის მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ სადა დღეს, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—ნ.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით დილის 12 საათზედ, 15 ივნისს, დანიშნულია ვაჭრობა წყლის სადენ არხის ბეტანით გაკეთებისათვის იჯარით გაცემისა. არხს სიგრძე უნდა ჰქონდეს 69,00 საჟენი, დიამეტრი 0,25×0,16. არხი უნდა დაწყებულ იქმნას მეჟევოის ქუჩიდან, უკვე არსებულ არხის პირიდან, გაიაროს ყიფიანის ქუჩა და პრიუტის შესახვევი ქუჩა. იჯარის ფასია 1,600 მან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები ყოველ სადა დღეს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—ნ.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 ივნისს, დილის 12 საათზედ, მის თანადასწრებით დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გაცემისა უსუფთაობის არხის გასაკეთებლად. არხს უნდა ჰქონდეს 170 საჟენი სიგრძე, დიამეტრი 0,375×0,25, მეორე არხს 41,00 საჟენი სიგრძე კიდევ და დიამეტრი 0,25×0,16. ეს არხი გასაკეთებელია კახეთის ქუჩაზედ, მე-7 საპოლიციო უბანში. სულ არხის ფასია 2,900 მან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ პირობები გასინჯონ ყოველ სადა დღეს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—ნ.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 ამა თიბათვეს, დილის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გაცემისა უსუფთაობის არხის გასაყვანად წყნეთის ქუჩაზე; სიგრძე გასაყვან არხისა 122 საჟ., დიამეტრი 0,42×0,28 და კიდევ მეორე არხი სიგრძით 30,00 საჟენი და დიამეტრით 0,16×0,0; არხი დაიწყება ამ ქუჩაზედვე არსებულ არხის პირიდგან; იჯარის ფასი 2900 მან.

მსურველთ შეუძლიანთ პირობათა გასინჯვა გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ სადა დღეს დილის 11 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—ნ.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 ივნისს, დილის 12 საათზედ, მის თანადასწრებით დანიშნულია ვაჭრობა უსუფთაობის არხის გაკეთების გაცემისა იჯარით სურფ-კარაპეტის აღმართზედ, სიგრძით $47^1/_2$ საჟენი, დიამეტრით 0,33×0,22. იმ არხიდან, უნდა დაიწყოს კეთება, რომელიც იქ ქუჩაზედვეა. ფასი იჯარისა 995 მან.

(3—ნ.—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე